

სამყაროს შეგეცნება

სახელმძღვანელო



6



Azərbaycan Respublikasının Dövlət Himni

*Musiqisi Üzeyir Hacıbəylinin,
sözləri Əhməd Cavadındır.*

Azərbaycan! Azərbaycan!
Ey qəhrəman övladın şanlı Vətəni!
Səndən ötrü can verməyə cümlə hazırız!
Səndən ötrü qan tökməyə cümlə qadirik!
Üçrəngli bayrağınla məsud yaşa!
Minlərlə can qurban oldu!
Sinən hər bə meydan oldu!
Hüququndan keçən əsgər,
Hərə bir qəhrəman oldu!

Sən olasan gülüstan,
Sənə hər an can qurban!
Sənə min bir məhəbbət
Sinəmdə tutmuş məkan!

Namusunu hifz etməyə,
Bayrağını yüksəltməyə
Cümlə gəncələr müştəqdir!
Şanlı Vətən! Şanlı Vətən!
Azərbaycan! Azərbaycan!



ჰეიდარ ალიევი

აზერბაიჯანელი ხალხის სამართო პროვინული ლიდერი

ნუშაბა მამედოვა
ქონულ მაცხედოვა

სამყაროს შემეცნება 6

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების
მე-6 კლასის სამყაროს შემეცნების საგნის
სახელმძღვანელო

გთხოვთ სახელმძღვანელოსთან დაკავშირებული თქვენი
გამონმარება, შენიშვნები და წინადადებები გამოაგზავნოთ
info@eastwest.az და derslik@edu.gov.az ელექტრონულ მისამართებზე.
წინასწარ მადლობას მოგახსენებთ ჩვენთან თანამშრომლობისათვის!



ŞƏRQ-QƏRB
BAKİ 2017

სარჩევი

I. ჩემი მორალური სამყარო

1.	კომუნიკაციის კულტურა.....	8
2.	ყველგან მოვიქცეთ სწორად.....	12
3.	ჩვენი მორალური ვალდებულება ოჯახისა და სამშობლოს წინაშე.....	16
4.	ლოცვა და რელიგიური რიტუალები.....	22

II. ვენდობი ჩემს სახელმწიფოს

5.	სახელმწიფოს მმართველობა.....	26
6.	სახელმწიფოს ფუნქციები საზოგადოების მართვაში.....	29
7.	ვინც იცავს ჩვენს უფლებებს.....	32
8.	ეკონომიკური განვითარება.....	36

III. უსულოდან სულიერამდე

9.	ნივთიერებების თვისებები.....	40
10.	ნივთიერებების შემაღგენლობა.....	42
11.	ელემენტები.....	44
12.	შეიძლება ერთი ნივთიერებისგან მივიღოთ ახალი ნივთიერება?...	46
13.	სუფთა და შერეული ნივთიერებები.....	48
14.	ორგანული და არა ორგანული ნივთიერებები.....	50
15.	ორგანული ნივთიერებიდან ცოცხალ ორგანიზმამდე.....	52
16.	ადამიანი - ბუნების უზენაესი არსება.	55

IV. უსაფრთხო ცხოვრება

17.	ჯანმრთელობის პირობები.....	58
18.	ჰიგიენა ჯანმრთელობის პირობაა.....	62
19.	ინფექციური დაავადებებისგან თავის არიდება.....	66
20.	ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა.....	69
21.	თავი დავიცვათ ბუნებაში არსებულ სახიფათო მოვლენებისგან.....	73
22.	თავი დავიცვათ ტექნოგენური წარმოშობის ავარიებისგან.....	81
23.	ყურადღება მივაქციოთ საგზაო ნიშნებს.....	84

თემის გაცნობის მიზნით ზოგადი მსოფმხედველობის, ადრე მოპოვებული ინფორმაციების გამეორების შესაძლებლობას იძლევა. გააქტიურებთ გაკვეთილებზე.

A

თქვენ უკვე სახელმწიფოს შესახებ გარკვეული ინფორმაციები გაქვთ. ცნობილია, რომ სახელმწიფო საზოგადოების ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. მოდიოთ გაგარკვეით: რომლებია სახელმწიფოს სხვა პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან განმასხვავებელი თვისებები?

ხალხი სახელმწიფოსათვის კი არა, სახელმწიფო ხალხისათვის უნდა არსებობდეს.

ჰეიდარ ალიევი

სახელმწიფოს მართვაში სხვადასხვა ადამიანები მონაწილეობენ. ისინი სახელმწიფოს მართვას სახელმწიფო ორგანოების, საწარმოებისა და ორგანიზაციების საშუალებით ახორციელებენ. სახელმწიფოს მიზანი მის ფუნქციებში აისახება.

ამ ნიშნის ქვეშ მოცემული კითხვები და დავალებები მოსწავლეების გააქტიურებისათვისაა.

B

ანალიზი ცოდნა:

თემის ძირითად შინაარსს ასახავს. აქ მოიცემა თემასთან დაკავშირებული განმარტებები, ცნებები, განსაზღვრებები და სხვა.

C


საინტერესო ინფორმაციები:

მოცემულია თემასთან დაკავშირებული სტატისტიკური ინფორმაციები, საინტერესო ფაქტები, ცნობილი პიროვნებების ღირებული აზრები.

E

1. დაეჭრათ კარტოფილი და დაგაწვეთოთ რამდენიმე წვეთი იოდი.	2. დაეწვათ ქაღალდი
	

? რა როლი აკისრია ნავთობსა და გაზს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებაში?



* კრისტალური ფორმის როქელიმე ნივთიერება გაგხსნათ წყალში.

* კრისტალი - ბერძნულად "ყინულს" ან "მთის ბროლს" ნიშნავს.

სახელ-
მძვანე-
ლოში გა-
მოყენებული
ტერმინების
განმარ-
ტება

სქემა:
მოიცემა თე-
მასთან დაკავ-
შირებული
ზოგიერთი
ინფორ-
მაცია.

D

**კითხვები და
დავალებები:**

მოცემული შეკითხვებიდან ზოგიერთი თემასთან დაკავშირებით გამოკვლევის მოხდენით დამატებითი ინფორმაციების მოპოვების შესაძლებლობას იძლევა. თქვენ მკვლევარობისაკენ გაძლევეთ მიმართულებას. კითხვების ერთი ნაწილი შესწავლილების შემოწმების მიზნითაა მოცემული.

F

ერთი და იგივე ატომე-
ბისაგან შემდგარი ნივთი-
ერებების მოლეკულები

აზოტი

ჟანგბადი

წყალბადი

ქლორი

სხვადასხვა ატომებისაგან
შემდგარი ნივთიერებების
მოლეკულები

წყალი

ნახშირორჟანგი

ცილა

სახამებელი

კითხვები და დავალებები:

1. რატომ უწოდებენ ატომებს „განუყოფელს“?
2. რა ხდება სუფრის მარილის კერძში ჩამატებისას? მიზეზი განმარტეთ.
3. თუ ნივთიერებები სხვადასხვა ატომებისაგან კი არა, მხოლოდ ერთი და იგივე ატომებისაგან იქნებოდა შემდგარი, მაშინ ბუნებაში არსებული ნივთიერებების რაოდენობა შეიცვლებოდა? რატომ?
4. დაწერეთ ორი გაზის შეერთებით შექმნილი ნივთიერება.

I. ჩემი მორალური სამყარო

1. კომუნიკაციის კულტურა
2. ყველგან მოვიქცეთ სწორად
3. ჩვენი მორალური ვალდებულება
ოჯახისა და სამშობლოს წინაშე
4. ღოცვა და რელიგიური რიტუალები



1. კომუნიკაციის კულტურა

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ხვდებით მასწავლებლებს, თანაკლასელებს, მეგობრებს, საუბრობთ. ზოგიერთის ნათქვამი მოგწონთ, ზოგიერთის არა... ზოგჯერ ფიქრობთ: რა გავაკეთო, რომ ეწყინა? რა იყო არასწორი კომუნიკაციის მიზეზი?



კომუნიკაცია ადამიანთა შორის აზრთა გაცვლა-გამოცვლაა. ადამიანი პიროვნულად კომუნიკაციის დროს ყალიბდება. კომუნიკაციის დროს, ადვილქვამთ ჩვენს თავს, ასევე გარშემო მყოფებს, ვაფასებთ ჩვენს ქცევებს. როდესაც ადამიანს არ აქვს კომუნიკაცია არცერთ ადამიანთან და მარტოა, ეს მოქმედებს მის განწყობაზე, იცვლება მისი ხასიათი. ამიტომაც, თითოეული ჩვენგანისათვის მნიშვნელოვანია მეგობრებთან, ოჯახის წევრებთან და სხვა ადამიანებთან სწორი ურთიერთობების დამყარება.



რა არის კომუნიკაციის არასწორად წარმართვის მიზეზი?

მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად ჩვენი აზრები, სურვილები და გემოვნება არ ემთხვევა სხვების აზრებსა და გემოვნებას. ერთ-
8

ერთი გერმანელი ფილოსოფოსი ამასთან დაკავშირებით ამბობს: „თუ კონფლიქტური სიტუაციაა შექმნილი და ვერ უმტკიცებთ მოწინააღმდეგეს რომ ის ცდება, ყველაზე მარტივი გზა ასეა: შენ დარჩი შენს აზრზე, მე დავრჩები ჩემსაზე“.

კომუნიკაციის არასწორად წარმართვის მიზეზები:

- კომუნიკაციის მხარეები აგრესიული, ნერვიული, ეგოისტი, მატყუარა, თავხედი, მოუთმენელი ადამიანები არიან
- არ იცავენ კომუნიკაციის წესებს;
- აზრები, მოსაზრებები გარშემომყოფების მიერ არასწორად აღიქმება;
- აზრთა სხვაობა.

ფსიქოლოგების მიხედვით, კომუნიკაციის დროს შექმნილი პრობლემების თავიდან ასაცილებლად საჭიროა ადამიანებში კომუნიკაციის უნარების განვითარება და კომუნიკაციის კულტურის გაზრდა.

კონფლიქტი – სხვადასხვა ადამიანების ან სოციალური ჯგუფების ინტერესებისა და მსოფლმხედველობის შეჯახებაა. ადამიანებს შორის არსებული კონფლიქტების ერთ-ერთი ყველაზე

• კონფლიქტის დამწყობის მიმართ მიუკერძოებლობა, მოთმინება და ყურადღებით მოსმენა;

• არ დაეუშვათ კონფლიქტის გავრცელებას, მოწინააღმდეგეს საქციელში დავადგინოთ ის მიზეზები, რითაც უკმაყოფილო ვართ.

დისტანცია – ყურადღება არ მივაქციოთ კონფლიქტს

ადაპტაცია – ერთ-ერთი მხარე ეთანხმება მეორეს

კომპრომისი – ორივე მხარე გარკვეულწილად ეთანხმება მეორეს

თანამშრომლობა – ორივე მხარის ინტერესების დაკმაყოფილება

მნიშვნელოვანი მიზეზი ემოციების არასწორი მართვაა. ამასთან დაკავშირებით კარგი ანდაზაც გვაქვს: გაბრაზებულ თავში ჭკუა არ არის. ბრაზი არავის მოუტანს სარგებელს. ამიტომაც, არსებობს ისეთი წესები, რომლებიც უნდა დავიცვათ კომფლიქტური სიტუაციების დროს: დისტანცია, ადაპტაცია, კომპრომისი, თანამშრომლობა და ასე შემდეგ.

შექმნილი კონფლიქტური ვითარების მოგვარების დროს საჭიროა გარკვეული წესების დაცვა:



**როდესაც
გაბრაზებული ხართ:**

*გაჩერდით, იფიქრეთ
ათამდე დათვალოთ,
დაწუნარდით
მოიფიქრეთ, რა
შეიძლება გააკეთოთ
აირჩიეთ სწორი
გამოსავალი*

კონფლიქტის პოზიტიურად (დადებითი) მოგვარების მცდელობა;

- მაქსიმალურად ხმადაბლა და ნელა უნდა ვილაპარაკოთ, ხმის ტონალობაში არ უნდა შეიმჩნეოდეს ნერვიულობა, აგრესია, არ შეიძლება დამამცირებელი სიტყვების გამოყენება;

- უნდა ვიყოთ თავაზიანი, არ ვილაპარაკოთ დაუფიქრებლად, პატივი უნდა ვცეთ პიროვნებას.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ზემოთაღნიშნული წესების დაცვით და წესების, არმცოდნე ბავშვებს შორის გავრცელებით, თქვენი ცხოვრება იქნება მშვიდი და კონფლიქტების გარეშე.

სახოგადოების მიერ ადამიანის მიღება და შეფასება დამუკიდებელია მის კომუნიკაციაზე. თუ გამოიყენებთ ზემოთნახსენებ პუნქტებს, გაიგებთ, როგორ მოქმედებენ ისინი ადამიანის ქცევებზე. ალბათ, იცით ნიზამი გენჯელის შემდეგი სტრიქონები:

როგორც წყალს, სიტყვას აქვს სილამაზე,
მოკლე სიტყვა უფრო ლამაზია
წყალს აქვს მარგალიტის სიწმინდე
ბევრი, რომ დალიო ისიც, დარდია.



რა უნდა გუთხრა? როგორ უნდა გუთხრა?

არ აქვს მნიშვნელობა, რომელი რელიგიის, ეროვნების ან რომელი რასის წარმომადგენელია ჩვენთან კომუნიკაციაში მყოფი ადამიანი. მათთან უნდა ვიყოთ გულწრფელი და კეთილი, არ უნდა დავუშვათ კონფლიქტი. ასეთი საქციელი მხოლოდ სარგებელს მოგვიტანს.

მაგრამ კომუნიკაციის კულტურის ფორმირებაზე მხოლოდ ზემოთაღნიშნული წესები არ მოქმედებენ. ასევე კომუნიკაციის ხარისხზე მოქმედებს წიგნები, ფილმები, თეატრის წარმოდგენები, რადიო და ტელე გადაცემები, სხვადასხვა სოციალური ქსელები.

კითხვები და სავარჯიშოები:

1. ქცევის რომელი ფორმა აადვილებს კონფლიქტის მოგვარებას?
2. განმარტეთ წინადადება: „პიროვნება ყალიბდება კომუნიკაციის დროს“
3. ნიჰათი და თუნარი ჩხუბობენ. როგორ დაამშვიდებ მათ?
4. რომელი ახალი წესების შემოთავაზება შეგიძლია, კონფლიქტის მოგვარების მიზნით?
5. ქერიმმა თავისი ბურთი არ ათხოვა მეგობრებს. ბავშვებმა ქერიმს არ მისცეს თავიანთი ახალი ბურთით თამაშის უფლება.
6. თქვენი აზრით, ქერიმმა შეცდომა დაუშვა? როგორ აფასებთ ბავშვების საქციელს?

მოვლენები	სწორი ქცევის წესები
ლაპარაკის დროს შეგაწყვეტინეს	
თქვენი ნებართვის გარეშე აიღეს თქვენი ნივთი	
თქვენი აზრებს ეწინააღმდეგებიან	
ვინმემ გაგაბრაზა	

7. როდესმე ყოფილხართ კონფლიქტის მიზეზი? თუ ყოფილა ასეთი შემთხვევა, დაწერე მოკლე ესე მისი მიზეზისა და შედეგის შესახებ.

2. ყველგან მოვიქცეთ სწორად

მორალური თვისებებსა და წესებს, საზოგადოებაში მათ ფორმირებას, როლს იკვლევს ეთიკა. ეთიკა ფილოსოფიის ერთ-ერთი დარგია, ეთიკა მორალის შემსწავლელი მეცნიერებაა. მოდით, ვნახოთ როგორი ეთიკური წესები არსებობს, რომელი წესები უნდა დავიცვაოთ?

წლების განმავლობაში ადამიანის საქციელი თავს იჩენს ოჯახში, საზოგადოებაში, ყოფაცხოვრებაში, სამსახურსა და სხვა ურთიერთობებში. მორალის ფორმირება დამოკიდებულია ადამიანის ირგვლივ არსებულ გარემოზე. ასე, რომ ოჯახი, ბავი, სკოლა და სხვა მნიშვნელოვან როლს თამაშობს მორალის ფორმირებაში.

ჩვენს ხალხს მორალისა და ქცევის თავისებური წესები აქვს. მაგრამ ამასთან ერთად არსებობს მორალისა და ქცევის ისეთი წესები, რომლებიც ყველა ხალხში მიღებულია. საზოგადოებაში ადამიანის მიერ საკუთარი ნებით მიღებული წესები მორალის წესებია.

მოერიდეთ ტყუილის თქმას.

*ვინაიდან თუ გაიგებენ, შენი ამ თვისებების შესახებ სიმართლის თქმის დროსაც არ დაგაოჯერებენ.
ა. ბაქიხანოვი*

შეარჩიეთ ქცევისა და სამართლის ნორმების საწინააღმდეგო ქცევები:



ვინმესთვის შეურაცმყოფელი სიტყვის თქმა, ქურდობა, ფიზიკური ძალის გამოყენება, სამართლიანობა, დახმარების აღმოჩენა, ქორაობა, შარიანობა, ტერორისტობა, ადამიანის ჯანმრთელობისა და გარემოსათვის ზიანის მიყენება, მძევლად აყვანა, ისტორიულ-კულტურული ძეგლების განადგურება.

სახელმწიფოს მიერ მიღებული წესები, რომლების შესრულება და დაცვა სავალდებულოა, იურიდიული ნორმებია. მაგალითად: რომელიმე ადამიანის დამცირება, ქურდობა, ფიზიკური ძალის გამოყენება და ა. შ. იურიდიული ნორმების დარღვევაა.

შრომისმოყვარეობა, ადამიანობა, თავმდაბლობა, ალაღ-მართლობა, მეგობრობა, პატრიოტიზმი და ასე შემდეგ მეორე ჯგუფს ეკუთვნის. საუკუნების განმავლობაში ჩვენი ხალხი იყენებდა გამოთქმებს მორალისა და ქცევის წესებთან დაკავშირებით. თითოეულ ჩვენგანს მოგვიწოდებენ პატივი ვცეთ ათა-ბაბებს (წინაპრებს), მშობლებს და უფროსებს.

მოდით შევეცადოთ ჩვენი მორალით მაგალითი ვიყოთ ჩვენს გარშემო მყოფებისთვის. ფიქრობთ როგორ? რომელი წესები უნდა დავიცვათ, რათა საზოგადოებისთვის მისაღები ვიყოთ? მაშინ ყურადღება მიაქციეთ ქვემოთ მოცემულ წესებს:



ოჯახში ქცევის წესები:

- მშობლების, და-ძმების ოთახში შესვლისას უნდა დავაკაკუნოთ კარზე;
- არ უნდა ავიღოთ მშობლების, და-ძმების ნივთები მათი ნებართვის გარეშე;
- უნდა ვიზრუნუთ უმცროს და-ძმაზე;
- როდესაც უფროსები შემოდიან ოთახში, უნდა ავდგეთ ფეხზე და დავუთმოთ ადგილი;
- არ უნდა გავთქვათ სხვასთან ჩვენი ოჯახის საიდუმლო.

ოჯახი აერთიანებს მშობლებს და ბავშვებს. ოჯახში ქცევის ნორმების დაცვა, მშობლების რჩევების მოსმენა და შესრულება ჩვენი ვალდებულებაა. შევეცადოთ არ დავარღვიოთ ოჯახის წევრების, ადამიანების, მეზობლების სიმშვიდე. ქცევის წესების ასე დაცვით იქმნება ოჯახში სასიამოვნო ურთიერთობა, თანამშრომლობა და ურთიერთპატივისცემა, ჯანსაღი ოჯახი.

სკოლაში ქცევის წესები:

- სკოლაში და სკოლის ეზოში უნდა მივესალმოთ მასწავლებლებს, სკოლის თანამშრომლებს, მშობლებსა და თანაკლასელებს;
- გაკვეთილის დროს უნდა ვუსმინოთ მასწავლებელს და ვისწავლოთ;
- გაკვეთილის დროს ზედმეტი ლაპარაკით ხელი არ უნდა შევეშალოთ თანაკლასელებს;
- არ უნდა გამოვიყენოთ მეგობრების ნივთები მათი ნებართვის გარეშე;
- ნაგავი არ უნდა დავყაროთ ირგვლივ, ხოლო ვინც ასე იქცევა, უნდა შევახსენოთ წესები;
- არ უნდა შეგვეშურდეს მეგობრების წარმატებების, არამედ მივბაძოთ მათ.





ქცევის წესები საზოგადოებრივ ტრანსპორტში:

- ადგილი უნდა დავუთმოთ ქალებს, მოხუცებს და ბავშვებს;
- არ უნდა დავდგეთ კართან და ხელი არ უნდა შევეუშალოთ ჩამსვლელებს;
- საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობისას არ შეიძლება ხმამაღალი ლაპარაკი და სიცილი;
- არ შეიძლება კონფლიქტი მძღოლთან და მგზავრებთან;
- ჩანთა ისე უნდა დავიჭიროთ, რომ ხელი არ შევეუშალოთ ჩამსვლელებს.

ქცევის წესები საზოგადოებაში:

- ადამიანებთან არ უნდა შევხსენოთ მათთვის გაკეთებულ სიკეთე;
- არ უნდა დავცინოთ სხვებს, მათი პრობლემების გამო;
- ადამიანებს არ უნდა შევაწყვეტინოთ საუბარი;
- ნელა უნდა ვიაროთ ისეთ ადგილებში, სადაც ბევრი ხალხია;
- უნდა გავიზიაროთ სხვების დარდი;
- უნდა გვიხაროდეს სხვების წარმატება;

როგორც ოჯახი, ასევე სკოლა თავის მოვალეობებს ქმნის საზოგადოების მოთხოვნების მიხედვით. ზემოთ აღნიშნული წესების დაცვით დამყარდება მეგობრული, თანამშრომლობითი ურთიერთობები.

კითხვები და სავარჯიშოები:

1. რომელია დადებითი მორალური თვისებები?
2. რომელი მორალური თვისებებია უფრო მნიშვნელოვნად მიხნეული? დაასაბუთეთ პასუხი.
3. რომელი ქცევის წესებია კინოთეატრებსა და ექსკურსიაზე ყოფნისას დასაცავი? განმარტეთ ამ ქცევების მნიშვნელობა.
4. თქვენი რომელი საქციელია უფროსებისათვის მიუღებელი, თქვენი აზრით რა არის ამის მიზეზი? რისი გაკეთება შეიძლება ამ სიტუაციის მოსაგვარებლად? განმარტეთ.
5. დაადგინეთ მეტროსა და მუზეუმში ქცევის წესები.
6. დაწერეთ თქვენი დადებითი და უარყოფითი თვისებები. დაადგინეთ როგორ მოქმედებს თქვენი უარყოფითი თვისებები გარშემომყოფებზე, ასევე დაადგინეთ ამის მოგვარების გზები.
7. დღეს ფიდანის მეგობრის დაბადების დღეა. მაგრამ მას დაავიწყდა. სადამოს გაახსენდა და იფიქრა, რომ გვიან არის და არ დაურეკა მეგობარს მისალოცად. თქვენი აზრით სწორია ფიდანის საქციელი?
8. რაუფმა დედას და მამას კარი გაუღო, შემდეგ პირდაპირ ტელევიზორისკენ გაიქცა. როგორია თქვენი დამოკიდებულება ამ საქციელის მიმართ?
9. ვუსაღის დედა ორ ცვლაში მუშაობს. მერე სახლში მოდის, ალაგებს სახლს, რეცხავს ჭურჭელს და აკეთებს საჭმელს. ვუსაღი კი, ტელევიზორს უყურებს. რას ურჩევდით ვუსაღს?
10. ცხრილის მიხედვით თქვენს რვეულებში დააჯგუფეთ ქვემოთ მოცემული ნიმუშები. მეტროში კართან დგომა, ტრანსპორტში ჩხუბი, წუხილის გაზიარება, ადამიანის მოსმენა, ფიზიკურ პრობლემაზე ყურადღების არაკონცენტრირება. ხმამაღლა ლაპარაკი, უფროსებისთვის გზის დათმობა, ბავშვების შეწუხება, კონფლიქტის შექმნა.

სწორი წესები	არასწორი წესები

3. ჩვენი მორალური ვალდებულება ოჯახისა და სამშობლოს წინაშე

თქვენი აზრით ვინ არის ნამდვილი მოქალაქე?

მოქალაქე პირველ რიგში ოჯახში ყალიბდება. ჩვენი მშობლები ცდილობენ, რომ გაგვზარდონ მაღალი მორალისა და თვისებების მქონე პიროვნებებად. ამისათვის კი, ჩვენ უნდა დავიცვათ სწორი ქცევის წესები, ვიყოთ განათლებული, ვისწავლოთ სამშობლოს ისტორია, გეოგრაფია, კულტურა, ეროვნული ადათ-წესები, უნდა გვიყვარდეს სამშობლო.



რა არის სამშობლო? – ამ კითხვაზე პასუხის გაცემისას ჯერ გაგვახსენდება ტერიტორია, ადგილი სადაც დავიბადეთ. მაგრამ ყველა ჩვენგანის სამშობლო არის აზერბაიჯანი. დიახ, ეს ჩვენი აზერბაიჯანია. ჩვენი წინაპრები იბრძოდნენ აზერბაიჯანისათვის, გმირებმა შესწირეს თავი სამშობლოს. ამიტომ საკუთარი თავის ჩინივით უნდა გავეფრთხილდეთ, ვიბრძოლოთ და ვიმრომოთ მისი განვითარებისათვის. ეს თითოეული აზერბაიჯანელის მორალური ვალდებულებაა.

სამშობლოზე საუბრისას ვამბობთ: „დედა სამშობლო“. რადგან სამშობლო თბილი, მშობლიური და საყვარელია, როგორც დედის კალთა. სამშობლოს სიყვარული არ არის საკმარისი, უნდა დავიცვათ სამშობლო, გავეფრთხილდეთ მას.



ვინ არის პატრიოტი? ვინ ითვლება პატრიოტად?

ამ კითხვაზე შეიძლება არსებობდეს მრავალი პასუხი. მაგრამ ნამდვილი პატრიოტი არის ის, ვინც სამშობლოს ინტერესს საკუთარ ინტერესზე მაღლა აყენებს. როცა საჭიროა, თავს დებს სამშობლოსთვის. იცოდეთ ჩვენი გმირების შესახებ, რომლებმაც სიცოცხლე შესწირეს სამშობლოს. ჩვენ ვამაყობთ ამ გმირებით. ჩვენ უნდა ვიყოთ ჩინგიზ მუსტაფაევის, ალბერტ აგარუნოვის, მეზაჰირ რუსთამოვის, მუხარამ იბრაჰიმოვისა და სხვა ასეთი ეროვნული გმირების შთამომავალი, ჩვენთვის სამაგალითო უნდა იყოს მათი გმირობა.

ჩვენ გვვამაყება მათი სახელები.



**ეროვნული გმირი
ალბერტ აგარუნოვი**



**ეროვნული გმირი
მეზაჰირ რუსთამოვი**

ვისაც არ აქვს სამშობლოს სიყვარული, ვერ ექნება მაღალი მორალური თვისებები. გმირობის ჩადენის დროს ჩვენი ეროვნული გმირებისთვის მნიშვნელოვანი იყო არა სახელი – პოპულარობა, არამედ სამშობლოს სიყვარული. მათმა უმრავლესობამ სწორედ სამშობლოს შესწირა სიცოცხლე.



ჰეიდარ ალიევი, რომელიც სამშობლოს განვითარების, მიწების გაერთიანებისა და სამაგალითო სახელმწიფოებს შორის ყოფნისთვის ყველაფერს აკეთებდა, იყო ნამდვილი პატრიოტი. „სამშობლოს ვაჩუქებ ჩემი სიცოცხლის დარჩენილ ნაწილს“ – ასე ამბობდა აზერბაიჯანელთა ეროვნული ლიდერი ჰეიდარ ალიევი და იცავდა აზერბაიჯანს. დღეს კი, მის პოლიტიკას წარმატებით აგრძელებს პრეზიდენტი ილჰამ ალიევი.

გვახსოვდეს: პატრიოტიზმი ოჯახში იწყება, სკოლაში ყალიბდება, ცხოვრებაში კი ხდება მისი რეალიზაცია.

ბავშვები ჩვენი მომავალია. ჩვენი ქვეყნის ხვალისდელი დღე დამოკიდებულია ბავშვების დღევანდელ აღზრდაზე. ჰეიდარ ალიევი



ოჯახი პატარა სახელმწიფოა და ამისთვის სჭირდება ძლიერი საფუძველი. ოჯახში ძალიან მნიშვნელოვანია სიყვარული, ურთიერთპატივისცემა, ოჯახის თითოეული წევრის მიერ ზოგადი წესების დაცვა.


დემოკრატიულ ოჯახში მშობლები ყველაფერს აკეთებენ ბავშვების უფლებების დასაცავად მათი განვითარებისთვის. ასეთ ოჯახში ბავშვმა იცის თავის მოვალეობები. ცდილობს შეასრულოს თავისი მოვალეობა მშობლის წინაშე. ამ დროს მშობელსა და ბავშვს შორის არსებული ურთიერთობა ხელს უწყობს ოჯახის პრობლემების ერთად მოგვარებას.



ბავშვი არ იბადება დამოუკიდებლად ცხოვრების უნარებით. მშობლები ზრუნავენ მასზე, ასრულებენ თავიანთ მოვალეობებს. როდესაც მშობელი ხანში შედის (მოსუცებულობის დროს) შეიღებმა უნდა იზრუნონ მშობლებზე. ოჯახში აღზრდილი ბავშვის უდიდესი მოვალეობა მასწავლებლების, უფროსებისა და მშობლების მიმართ პატივისცემის გამოხატვაა.

დედის, მამის, ოჯახის სხვა წევრების მიმართ სიყვარულისა და პატივისცემის გამოხატვა ჩვენი საქციელის ძირითად ნაწილს წარმოადგენს.

ყველასთვის ცნობილია, რომ ადამიანის ბუნება, მისი დამოკიდებულება ტრადიციების, მორალური ღირებულებების, შრომის, კულტურული მემკვიდრეობის მიმართ იწყება ოჯახიდან. ოჯახის სიძლიერე კი დამოკიდებულია მშობელსა და ბავშვებს შორის არსებულ ურთიერთობაზე. თუ ბავშვების მიმართ პატარობიდანვე არ იქმნება სწორი დამოკიდებულება, შემდგომში ბავშვების აღზრდა შეუძლებელია.



ჯანსაღი თაობის აღზრდაში ოჯახს უდიდესი როლი აქვს. თუ ოჯახში მშობლებსა და ბავშვებს შორის არ არსებობს ურთიერთგაგება, მაშინ არ იქნება რწმენა და ნდობა. მშობლებს ყოველთვის უნდა ვცეთ პატივი. ამისათვის გვაქვს რამდენიმე რჩევა თქვენთვის:

- იზრუნეთ მშობლებზე, გახსოვდეთ მათთვის განსაკუთრებული დღეები;
- იყავით კულტურული მშობლებთან ურთიერთობის დროს;
- თუ მშობელი ცუდ განწყობაზეა, ეცადეთ იგი გამოასწოროთ;
- მშობლებლს დაეხმარეთ პრობლემების მოგვარებაში;
- იყავით პატიოსანი;
- სხვებთან არ ილაპარაკოთ თქვენი მშობლების საუბრისა და ურთიერთობის შესახებ;
- არ მოატყუოთ მშობლები;
- არ ეჩხუბოთ მშობლებს;
- მოთმინებით მოუსმინეთ მშობლების რჩევებს;
- თუ თქვენი მშობელი ნაწყენია თქვენზე, ეცადეთ გაარკვიოთ მიზეზი.

თუ თქვენ სწორად გაუგებთ მშობლებს და იქნებით პატიოსანი, მაშინ თქვენ შორის ურთიერთობაც სამართლიანი იქნება. თუ ოჯახში არსებობს ურთიერთპატივისცემა, ესე იგი თქვენი ცხოვრებაც კომფორტულია.

კითხვები და საგარჯიშოები:

1. თქვენი აზრით რა არის მშობლის წინაშე ჩვენი მორალური ვალი?
2. რა იგულისხმება გამოთქმაში – „ურთიერთრწმენა მშობელსა და შვილს შორის“?
3. ხშირად რატომ ვიყენებთ ამ ორ სიტყვას ერთად: „დედა“ და „სამშობლო“?
4. როგორ ამქლავნებთ თქვენს პატრიოტიზმს სკოლაში? ამისათვის დაადგინეთ სკოლაში არსებული პრობლემები, მათი გადაჭრის გზები, მიზეზები და ამ სიტუაციებში თქვენი მოვალეობები.
5. როგორ ასრულებს სამშობლოს წინაშე თავის მოვალეობას მუსიკოსი, მხატვარი, მეცნიერი, მწერალი, ჯარისკაცი?
6. რა არის ჩვენი მოვალეობა, იმისათვის, რომ დავიბრუნოთ ოკუპირებული მიწები?
7. 20 იანვრის გმირებმა როგორ მოიხადეს თავიანთი მოვალეობა სამშობლოს წინაშე? მოამზადეთ კედლის გაზეთი ამ თემაზე.
8. წაიკითხეთ ქვემოთ მოცემული ნაწევები და იმსჯელეთ.
მეზობელი ქვეყნის, ჰუნის მეფემ მეთეს თავისი საუკეთესო ცხენი სთხოვა. თუ არ მისცემდა, ომს გამოუცხადებდა. მეთემ მისცა თავისი ცხენი. მერე სთხოვა საუკეთესო ხარჭა. იმის გამო, რომ მეფეს არ უნდოდა ომი, მისცა საუკეთესო ხარჭა. შემდეგ როდესაც საზღვართან არსებულ მიწა მოუნდა, მეფე გაბრაზდა: „ცხენი ჩემი იყო მოგეცი, ხარჭა ჩემი იყო მოგეცი, რათა სისხლი არ დაღვრილიყო. მაგრამ მიწა ჩემი არ არის. მიწა ხალხისაა. გმირების სისხლია დაღვრილი მიწაზე. ომი იქნება. მიწა არ გასაჩუქრდება.“
9. რვეულებში დაასრულეთ ცხრილი.

<i>ქვეყნის მოქალაქე</i>	<i>მოვალეობა სამშობლოს წინაშე</i>
მასწავლებელი	
ექიმი	
იურისტი	
სპორტსმენი	

10. თქვენი ავადმყოფი მეზობელი მარტო ცხოვრობს. მას არ ჰყავს შვილი. როგორ დაეხმარებით მას, რათა არ იგრძნოს მარტოობა?


4. ლოცვა და რელიგიური რიტუალები

ახერბაიჯანის ისტორიული განვითარების მახასიათებლები, გეოგრაფიული მდგომარეობა, მოსახლეობის მრავალეთნიკურობა ხელს უწყობს სხვადასხვა რელიგიის არსებობას. ქვეყანაში სხვადასხვა პერიოდში გავრცელდა კერპთაყვანისმცემლობა, მაზდიანობა, იუდაიზმი, ქრისტიანობა, ისლამი და ა. შ.


თქვენი აზრით რელიგიების რომელი რიტუალები და ლოცვა არის განსხვავებული?



ყურანი



ბიბლია



თორა

ყველა რელიგიას აქვს თავისებური რიტუალები და ლოცვა. ნამაზი ისლამში ყველა მუსლიმისთვის სავალდებულოა. ისლამის მიხედვით, ნამაზის საშუალებით ყველა მუსლიმი გამოხატავს თავის ერთგულებას ღმერთის მიმართ. უახლოვდება ღმერთს.

მუსლიმებმა დღეში ხუთჯერ უნდა შეასრულონ ნამაზი. პარასკევი მუსლიმებისათვის წმინდა დღეა.

ყურბან ბაირამი და რამაზანი მუსლიმების რელიგიური დღესასწაულია. ამ დღესასწაულების დროს ტარდება მთელი რიგი რიტუალები.

ჰაჯში ყოფნისას ყურბან ბაირამში მზის ამოსვლის შემდეგ ადამიანები მეჩეთში მოდიან. აქ ასრულებენ ბაირამის ნამაზს. მერე მსხვერპლად ცხოველს კლავენ. ყოფენ სამ ნაწილად. ერთი წილი მეზობელ-ნათესავებისათვის, ერთი წილი ხელმოკლე ოჯახებისათვის, მესამე წილი კი ოჯახში მოსული სტუმრებისთვისაა განკუთვნილი. ამით ყველა ადამიანი აცხადებს, რომ მისი ყველა ქონება და ბარაქა ღვთისგანაა ბოძებული და მზად არის დახარჯოს სიკეთესთვის.

რამაზანი მუსლიმების მნიშვნელოვანი დღესასწაულია. ეს არის რამაზანის თვის ბოლო დღე, რომელიც მთვარის მობრუნებით იწყება. ბაირამამდე ერთი თვის განმავლობაში მუსლიმები მარხულობენ. მარხვის დროს ადამიანები მზის ამოსვლიდან ჩამოსვლამდე არ იკვებებიან და არ იღებენ არანაირ სითხეს. ბაირამის დღეს კი, არ მარხულობენ, იკრიბებიან მეჩეთში. ასრულებენ ნამაზს. ნამაზის შემდეგ ოჯახებში იშლება სუფრა. აკეთებენ სხვადასხვა საჭმელს, ხალვა-ფეთირს და არიგებენ ოჯახებში. რამაზანის დროს მუსლიმები ღარიბებს ეხმარებიან ფულითა და სურსათით.



მეჩეთი



ეკლესია



სინაგოგა

შაბათი ებრაელებისთვის წმინდა დღეა.

შაბათი სიხარულისა და დასვენების დღეა. ამ დღეს ისინი თორას სწავლებით, დასვენებითა და სადღესასწაულო სუფრის მზადებით არიან დაკავებულნი. ებრაელების შაბათი პარაკევს ღამით მზის ჩამოსვლით იწყება. სახლებში ანთებენ სანთელს და ღოცულობენ. სუფრაზე აუცილებელია ნაკურთხი ღვინო და ორი პური. როგორც წესი, შაბათს სინაგოგაში მიდიან. სპეციალურად ღოცულობენ, სასიამოვნო სუნამოებს ისხავენ და შაბათი ცერემონიით „ხავდალი“ მთავრდება. ბევრი მორწმუნე ებრაელი ამ დღეს არ იცვამს ფეხსაცმელს.

ფასხა (პასეჟი) ებრაული დღესასწაულია. ამ დროს ებრაელები ზეიმობენ ეგვიპტის მონობიდან გათავისუფლებას. რვა დღის განმავლობაში მხოლოდ უმარილო და მაგარი პურის (მაცა) ჭამა შეიძლება. დღესასწაულის დაწყების პირველ ორ დღეს ოჯახი სტუმრებთან ერთად სპეციალურ სუფრასთანაა. მასპინძელი ეგვიპტიდან გასვლის ისტორიას ჰყვება. განსაკუთრებით აღნიშნავს, რომ ებრაელებმა ეგვიპტე მოსესთან ერთად დატოვეს. სუფრაზე ღოცულობს ყველა და სვამს ოთხ ჭიქა უაღკოპოლო ღვინოს. ამ დღეებში სინაგოგაში სადღესასწაულო რიტუალები ტარდება.

კვირა ქრისტიანების წმინდა დღეა.

რელიგია - არის მსოფლმხედველობის ფორმა, რომელიც წარმოიშვა ადამიანის სამყაროს აღქმის ინტერესიდან.


ფასხა (აღდგომა) ასევე ქრისტიანების რელიგიური დღესასწაულია. ამ დღეს ქრისტიანები ზეიმობენ იესო ქრისტეს მკვდრეთით აღდგომას. მე-2 საუკუნიდან დღემდე, დღესასწაული ყველა ეკლესიაში აღინიშნება. ამ დღესასწაულთან დაკავშირებით ქრისტიანებს აქვთ სხვადასხვა ტრადიციები. დღესასწაულამდე 40 დღის განმავლობაში მარხულობენ. მარხვის ძირითადი პირობა არის ცხოველური საკვებისა და გართობაზე უარის თქმა.

კათოლიკურ და მართლმადიდებლურ დღესასწაულებზე წინა შაბათს ღამით ლოცვულობენ. ტარდება სპეციალური რიტუალები.

მიუხედავად იმისა, რომ სხვადასხვა რელიგიის ლოცვის ფორმა და რიტუალები განსხვავებულია, მონოთეისტურ რელიგიებს აქვთ მსგავსი მხარეებიც. ერთი ღმერთის აღიარება და მისგან დახმარების მოლოდინი მონოთეისტური რელიგიების საერთო თვისებაა.

კითხვები და სავარჯიშოები:

1. რომელი რელიგიური რიტუალები აქვთ მუსლიმებს?
2. რომელი რელიგიური რიტუალები აქვთ ქრისტიანებს?
3. რომელი რელიგიური რიტუალები აქვთ ებრაელებს?
4. რა მსგავსება და განსხვავებაა ქრისტიანების აღდგომასა და ებრაელების პასექს შორის?



5. ისრაელში ერთი შენობის ერთი კარიდან მეჩეთში, მეორე კარიდან სინაგოგაში არის შესასვლელი. როგორ აფასებთ ამ ფაქტს?
6. რვეულებში დაასრულეთ რელიგიების შესახებ ცხრილი.

რელიგიები	წინასწარმეტყველები	სალოცავი ადგილები	წმინდა დღე	რელიგიური რიტუალი

7. დაწერეთ ესე სხვადასხვა რელიგიების მსგავსებაზე.


II. პენღობი ჩემს სახელმწიფოს

5. სახელმწიფოს მმართველობა
6. სახელმწიფოს ფუნქციები
საზოგადოების მართვაში
7. ვინ იცავს ჩვენს უფლებებს
8. ეკონომიკური განვითარება



5. სახელმწიფოს მმართველობა

სახელმწიფოს ჩამოყალიბების შესახებ ინფორმაცია უკვე გაქვთ. სახელმწიფოს ჩამოყალიბების შემდეგ კი, საზოგადოების მართვის მიზნით კანონების* დაწესება დაიწყო. თქვენი აზრით, რა იქნება, რომ არ არსებობდეს კანონი?



საზოგადოებებში სახელმწიფოს მართვის სხვადასხვა ფორმა არსებობს. სახელმწიფო მართვისთვის სხვადასხვა საშუალებებს იყენებს. სახელმწიფოს მართვის ფორმა განსაზღვრავს მართვის ორგანოების ორგანიზებას, მათი მოღვაწეობის ვადას. დემოკრატიული** სახელმწიფო – სახელმწიფოს ერთ-ერთი ფორმაა. ასეთ ქვეყნებში ხალხს აქვს უფლება მიიღოს მონაწილეობა სახელმწიფო საქმიანობაში. დემოკრატიული საზოგადოება ეფუძნება პოლიტიკური პარტიებისა და ორგანიზაციების ურთიერთობას.

დემოკრატიული სახელმწიფოს პრინციპები

ხალხი ხელისუფლების წყაროა; ირჩევენ სახელმწიფო ორგანოებს; ადამიანის უფლება და თავისუფლება დაცულია სახელმწიფოს მიერ;



*კანონი – არეგულირებს საზოგადოებაში ურთიერთობებს. ადამიანებს იცავს უფლებების დარღვევებისგან. განსაზღვრავს სასჯელს დამნაშავეებისთვის.

** დემოკრატია – ბერძნულად „ხალხის მმართველობას“ ნიშნავს.

ხელისუფლების დაყოფა

1. საკანონმდებლო ხელისუფლება
2. აღმასრულებელი ხელისუფლება
3. სასამართლო ხელისუფლება

ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის მიხედვით, აზერბაიჯანის რესპუბლიკა დემოკრატიული სახელმწიფოა. სახელმწიფოს ერთადერთი წყარო ხალხია.

კონსტიტუციის მე-7 მუხლის, მე-3 ნაწილში აღინიშნება, რომ საკანონმდებლო ხელისუფლებას მილი მეჯლისი (ეროვნული ასამბლეა) მართავს. კანონები მიიღება მხოლოდ მილი მეჯლისის მიერ. თვითონ მილი მეჯლისი კი, არჩევნებით ყალიბდება.

მილი მეჯლისს აქვს რამდენიმე უფლებამოსილება. მოქმედებს მილი მეჯლისის სხვადასხვა კომიტეტები. აზერბაიჯანის რესპუბლიკაში ყველა მოქალაქეს აქვს უფლება, რომ თავისი არჩეული დეპუტატის საშუალებით მილი მეჯლისს წინადადებები წარუდგინოს.

აღმასრულებელი ხელისუფლება პრეზიდენტს ეკუთვნის.

ქვეყნის პრეზიდენტი კონსტიტუციიდან გამომდინარე ზოგიერთი საკითხის მოსაგვარებლად განკარგულებებს გასცემს.



აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი

მილი მეჯლისი:

საკანონმდებლო ხელისუფლებაა წარმოადგენს აზერბაიჯანელი ხალხის ინტერესს საქმიანობაში დამოუკიდებელია.

პრეზიდენტი:

1. მთავარსარდალია
2. ქვეყნის წარმომადგენელია
3. აღმასრულებელი ხელისუფლების თავმჯდომარეებს ნიშნავს პოსტზე და ათავისუფლებს მათ თანამდებობებიდან.
4. მილი მეჯლისის თანხმობით ნიშნავს პრემიერ მინისტრს, მთავარ პროკურორს და სხვა თანამდებობის პირებს
5. ხელს აწერს კანონებს
6. უფლებამოსილია შეიწყალოს, გაიწვიოს ჯარში, დააჯილდოვოს და ასე შემდეგ.



აზერბაიჯანის რესპუბლიკის
პრეზიდენტის ადმინისტრაციის შენობა

სორ შემთხვევაში
შეიძლება დასუბსტრუქტურულად
სახელმწიფო:
როდესაც
დამნაშავე რჩება
სახელმწიფოს გარეშე
და როდესაც
უდანაშაულოს
დასჯიან.
პეიდარ ალიევი.

მინისტრთა კაბინეტი: აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი აღმასრულებელი უფლებამოსილების განხორციელებისთვის აყალიბებს მინისტრთა კაბინეტს. მინისტრთა კაბინეტი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს განათლების, ინფორმაციის, ჯანმრთელობის, სოციალური უზრუნველყოფისა და სხვა საკითხებს.

სასამართლო ხელისუფლება: სასამართლო ხელისუფლება ქვეყანაში ერთადერთი ხელისუფლებაა, რომელიც სამართლიანობას ადგენს. სასამართლო ხელისუფლებას არეგულირებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის საკონსტიტუციო სასამართლო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის სააპელაციო სასამართლო, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ზოგადი (რაიონების, რეგიონების) სასამართლოები. ისინი იცავენ ჩვენი მოქალაქეების უფლებებს და თავისუფლებას.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის სახელმწიფო ფორმების თვისებები?
2. როგორი მართელობის ფორმებია სახელმწიფოებში?
3. რას ნიშნავს ხელისუფლების დაყოფის პრინციპი?
4. შეაგროვეთ ინფორმაცია კონსტიტუციის შესახებ.
5. როგორი შემოთავაზება გექნებოდათ მიღლი მეჯლისისათვის და როგორ გააკეთებდით ამას?
6. განმარტეთ აზერბაიჯანის საკანონმდებლო ორგანოების უფლებამოსილება.
7. შეაგროვეთ ინფორმაცია განათლების სფეროში მომხდარ ცვლილებებში სახელმწიფოს როლის შესახებ.
8. „თუ კონტროლი არ იქნება კანონის შესრულებაზე, რა მოხდება ქვეყანაში“ – თემაზე დაწერეთ ესე.

6. სახელმწიფოს ფუნქციები საზოგადოების მართვაში

სახელმწიფოს შესახებ უკვე გაქვთ ინფორმაცია. ცხადია, რომ სახელმწიფო მნიშვნელოვან როლს თამაშობს საზოგადოების არსებობაში. მოდით ვნახოთ: რა განსხვავება არის სახელმწიფოსა და სხვა ორგანიზაციებს შორის?

ხალხი სახელმწიფოსთვის კი არა, სახელმწიფო უნდა იყოს ხალხისთვის. ჰეიდარ ალიევი.

ადამიანები მონაწილეობენ სახელმწიფოს მართვაში. ისინი სახელმწიფოს მართვას სხვადასხვა ორგანოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების საშუალებით ახორციელებენ. სახელმწიფოს მიზანი მის ფუნქციებში წარმოდგენილია.

სახელმწიფო		
უზრუნველყოფს საზოგადოების მთლიანობას	ახორციელებს ტერიტორიის დაყოფას	უზრუნველყოფს მოსახლეობის ურთიერთობას.
	აქვს საზღვრები	
იღებს კანონებს	აძლევს და აუქმებს მოქალაქეობას.	ატარებს საგარეო-აღო და ფულად პოლიტიკას





სახელმწიფოს საქმიანობის მიმართულება მისი ფუნქციაა. ფუნქციები იყოფა ორ ჯგუფად. რამდენიმე ფუნქციის შესახებ იცით. ახლა გავეცნოთ კიდევ რამდენიმე ფუნქციას.



სახელმწიფოს ფუნქციები:

1. შინაგანი ფუნქციები

- ეკონომიკური ფუნქცია
- სოციალური ფუნქცია
- იურიდიული ფუნქცია
- პოლიტიკური ფუნქცია
- განათლების ფუნქცია
- კულტურულ-აღმზრდელობითი ფუნქცია
- ეკოლოგიური ფუნქცია

2. საგარეო ფუნქცია

- სხვა ქვეყნებთან ურთიერთობა
- ქვეყნის თავდაცვის ფუნქცია



ეკონომიკური ფუნქცია – წარმოადგენს და არეგულირებს ეკონომიკურ პროცესებს. მაგალითად: განსაზღვრავს სახელმწიფოს ბიუჯეტს, ატარებს საგადასახადო პოლიტიკას და ასე შემდეგ.

სოციალური ფუნქცია – ხელს უწყობს შრომისუნარიანი ადამიანების დასაქმებას. ისხნება ახალი სამუშაო ადგილები, იზრდება ხელფასები, პენსიები და ასე შემდეგ.

იურიდიული ფუნქცია – იცავს ადამიანის უფლებებს, ადგენს იურიდიულ ნორმებს.

პოლიტიკური ფუნქცია – ამუშავებს და ამზადებს ისეთ პოლიტიკურ ხაზს, რაც ხალხს მოსწონს.

განათლების ფუნქცია – ხელს უწყობს განათლებას.

კულტურულ- ადმინისტრაციული ფუნქცია – მოსახლეობის კულტურული მოთხოვნების დაკმაყოფილება. ახორციელებს ღონისძიებებს მსოფლიო კულტურის გაცნობის მიზნით.

ეკოლოგიური ფუნქცია – ადგენს ბუნების სწორად გამოყენების წესს. უზრუნველყოფს ადამიანის სუფთა გარემოში ცხოვრებას.

ქვეყნის თავდაცვის ფუნქცია – იცავს ქვეყნის ტერიტორიულ მთლიანობას. ზრდის თავდაცვის უნარს.

კითხვები და დავალებები:

1. დაწერეთ მოკლე თემა სახელმწიფოს განათლების ფუნქციასთან დაკავშირებით.
2. ბაზარზე საქონლის ფასის დაკლების მიზნით სახელმწიფოს რომელი გზების გამოყენება შეუძლია? შეაგროვეთ ინფორმაცია.
3. სახელმწიფო ესმარება მრავალშვილიან ოჯახებს. ეს მისი რომელი ფუნქციაა? სხვა ვის ესმარება სახელმწიფო? დაწერეთ ესე.
4. შეაგროვეთ ინფორმაცია იმ ღონისძიებების შესახებ რომელიც ჩვენს ქვეყანაში მსოფლიო კულტურასთან დაკავშირებით ტარდება.
5. შეაგროვეთ ინფორმაცია ქვეყანაში ლტოლვილი ოჯახების დახმარების შესახებ.
6. დახატეთ ცხრილი და დააჯგუფეთ ქვეყნის ფუნქციების მიხედვით: იცავს საზღვრებს და ქვეყნის შიდა წესრიგს. ახორციელებს ღონისძიებებს მსოფლიო კულტურის გაცნობის მიზნით. აყალიბებს სავაჭრო ურთიერთობებს. განსაზღვრავს იურიდიულ ნორმებს. ხსნის ახალ სკოლებს და საბავშვო ბაღებს.

7. ვინც იცავს ჩვენს უფლებებს

იცით, რომ სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია იურიდიული ფუნქციაა. უკვე მეხუთე კლასში მიიღეთ ინფორმაცია იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც იცავენ ადამიანის უფლებებს. რა იცით ამ ორგანიზაციების საქმიანობის შესახებ?

ადამიანი ბუნების განუმეორებელი არსებაა. კარგი ცხოვრება ყველა ადამიანის უფლებაა და ყველა იბრძვის ამისთვის, მუშაობს, სწავლობს. ადამიანი ვალდებულია დაიცავს თავისი მე*. სახელმწიფოც თავის მხრივ იცავს ადამიანის პიროვნებას.

ადამიანის პიროვნების მიმართ პატივისცემა ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ჯერ შეიქმნა ამის შესახებ წარმოდგენა, შემდეგ კი ამის საუკეთესო მექანიზმი – ადამიანის უფლებები. ადამიანის უფლებების დაცვის მხრივ უდიდესი პასუხისმგებლობა სახელმწიფოს აკისრია და ეს კანონიერია. ვინაიდან ყველა ადამიანის უფლებისა და თავისუფლების დაცვა პირდაპირ სახელმწიფოს ეკუთვნის. აზერბაიჯანში მოქალაქეების უფლებები და თავისუფლება კონსტიტუციით დაცულია.

ადამიანის ძირითადი უფლებები ჩამოთვლილია აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 24-ე-71-ე მუხლებში.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 52-ე, 53-ე მუხლები აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეების უფლებებს და მათთვის მიცემული იურიდიული უზრუნველყოფის შესახებაა. ამის მიხედვით ვინც დაიბადა აზერბაიჯანის მოქალაქისგან, აზერბაიჯანის, ის არის აზერბაიჯანის მოქალაქე. თუ ერთი მშობელი მაინც აზერბაიჯანის მოქალაქეა, ბავშვიც აზერბაიჯანის მოქალაქეა.

აზერბაიჯანის რესპუბლიკის მოქალაქეების უფლებები და თავისუფლება აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 125-ე მუხლის მიხედვით დაცულია სასამართლოების მიერ.

ზოგადად აზერბაიჯანის რესპუბლიკის კონსტიტუციის 158 მუხლის 40-ზე მეტი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების შესახებაა. მოქალაქეების უფლება დაცულია, მიუხედავად მათი სქესის, ეროვნებისა და რელიგიისა.

ამასთან ერთად, როგორც სხვა ქვეყნებში ჩვენთანაც 2002 წლიდან მოქმედებს ადამიანის უფლებათა დამცველი ომბუდსმენი.

ომბუდსმენი არის იურიდიული პირი, რომელიც თავისი მნიშვნელობით არ ექვემდებარება არც საკანონმდებლო, არც აღმასრულებელ და არც სასამართლო ხელისუფლებას.

*ღირსება - ადამიანის პატივისცემა თავის და თავისი პიროვნების მიმართ

10 დეკემბერი – ადამიანის უფლებათა დაცვის დღეა



კანონის მიხედვით, ის დამოუკიდებელია. მისი ძირითადი საქმეა ადამიანების განცხადებებისა და საჩივრების განხილვა.

სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია დაკავებულია ადამიანების უფლებების დაცვით. ამათგან ეუთოსა და გაეროს შესახებ უკვე იცით. 10 დეკემბერი არის ადამიანის უფლებების დაცვის დღე, ამ დღეს გაეროს სპეციალური კომისიის მიერ დამზადებული „ადამიანის უფლებების შესახებ ზოგადი ბეიენნამე“* მიიღეს. 1948 წელს აღნიშნული დეკლარაციის მიღების შემდეგ 1950 წლიდან სხვა ქვეყნებშიც რეკომენდირებული იყო ამ დღის აღნიშვნა. გაერო ადამიანის უფლებების დაცვისათვის საერთაშორისო დონეზე ამზადებს დოკუმენტებს.

თქვენ იცით გაეროს ორგანიზაციის UNICEF-ის შესახებ, რომელიც იცავს ბავშვთა უფლებებს. ქალთა უფლებების დარღვევის პრევენციისთვის კი, შექმნილია UNIFEM-ი, აღნიშნული ფონდის ძირითადი საქმე ქალისა და კაცის თანსწორობის უზრუნველყოფაა.

*აზერბაიჯანის
ევვლა მოქალაქეს
მიუხედავად მათი
ენობრივ, ეროვნულ
და რელიგიურ
კუთვნილებისა აქვს
თანაბარი უფლება.
– ჰეიდარ ალიევი*

* ბეიენნამე - რეზოლუცია. სპარსული სიტყვა „ნამე“ - და არაბული „ბეიანის“ შეერთებაა. აღნიშნავს საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტს, რომელიც აღწერს გარკვეულ პრინციპებს.

18 იენისი - ადამიანის უფლებების ეროვნული დღეა,

ქალებსა და კაცებს შორის სოციალური თანასწორობა არის „გენდერული თანასწორობა“. ცნება გენდერი უკვე ყველასთვის ცნობილია. გენდერული თანასწორობის, მხოლოდ ქალთა უფლებების დაცვად მიჩნევა არასწორია. მიზანი ქალსა და მამაკაც შორის განსხვავების (საზოგადოების მდგომარეობაში) აღმოფხვრაა.

ეუთო-ს და მანამდე შექმნილ ევროკავშირის პრინციპებს ეკუთვნის ადამიანის უფლებების დაცვა და კანონის უზენაესობა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ლტოლვილები და დევნილები მსოფლიო თანამეგობრობისთვის პრობლემებს ქმნიდნენ. 1945 წელს ამ პრობლემის მოსაგვარებლად და ლტოლვილების უფლებების დაცვის მიზნით, გაერომ შექმნა ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი. ამჟამად ჩვენს ქვეყანაში არიან, **ლტოლვილები**, რომლებიც 1988 წელს სომხეთიდან მოვიდნენ. ჩვენი მიწების ოკუპაციის შედეგად მთიან ყარაბაღსა და მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო ადამიანის უფლებებისა და თავისუფლების მკვეთრი დარღვევა. ქვეყანაში მოსახლეობის ნაწილმა დატოვა თავისი საცხოვრებელი ადგილი. ესენი არიან **დევნილები**.

ადამიანის ზოგიერთი უფლება და თავისუფლება, რაც ასახულია კონსტიტუციაში:

ადამიანის თავისუფლება

აზრისა და სიტყვის თავისუფლება

სინდისის თავისუფლება

დამოუკიდებლად შეკრების თავისუფლება

ინფორმაციის თავისუფლება

შემოქმედების თავისუფლება

ადამიანის უფლებები

განათლების უფლება

თანასწორობის უფლება

სიცოცხლის უფლება

თავისუფლების უფლება

ქონების უფლება

ქორწინების უფლება

შრომის უფლება

დასვენების უფლება

პირადი ხელ შეუხებლობის უფლება

სახელმწიფო ყველანაირად ეხმარება ლტოლვილებსა და დევნილებს. მათი პრობლემების მოსაგვარებლად შექმნილია დევნილების სახელმწიფო კომიტეტი.

მაგრამ, უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენი თანამემამულეების უფლებები ჩვენი მტრების – სომხებისა და მათი მომხრეების მიერ არის დარღვეული. აზერბაიჯანელებს დაატოვებინეს თავიანთი სახლები. ხოჯალიში კი, მოხდა ნამდვილი გენოციდი. ჩვენი მიწები მტრის ხელთაა. მათი გათავისუფლება ჩვენი ვალდებულებაა.

„ადამიანის უფლება ყველა ადამიანის უფლებაა, ამავე დროს ყველა ხალხის უფლებაა“

ჰეიდარ ალიევი

კითხვები და დაგალებები:

1. შეადარეთ UNICEF-ისა და UNIFEM-ის ფონდების საქმიანობა?
2. გაეცანით გაეროს მიერ მიღებულ „ბავშვთა უფლებების კონვენცია“-ს და იქიდან აირჩიეთ ჯანმრთელობისა და განათლების შესახებ მუხლები.
3. გაეროს მიერ მიღებულ „ბავშვთა უფლებების კონვენციას“ კიდევ რას დაამატებდით?
4. ადამიანის უფლებების დაცვა ჩვენი სახელმწიფოს რომელ დოკუმენტშია ასახული?
5. აზერბაიჯანში 1901 წელს ბაქოში ქველმოქმედმა ჰაჯი ზეინალაბდინ თაგიევმა გახსნა გოგონათა სკოლა. აქ ქალთა რომელი უფლებაა გათვალისწინებული?

გაყოიკვლიეთ

შეაგროვეთ ინფორმაცია ქვემოთ მოცემული თემების შესახებ.

- დაბადებისთანავე რომელი უფლებები აქვს? ამასთან დაკავშირებით რომელი მუხლებია გაეროს მიერ მიღებულ „ბავშვთა უფლებების კონვენციაში“?
- ომბუდსმენის საქმიანობა ჩვენს ქვეყანაში.
- სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვების უფლებების დაცვა.
- რომელი საერთაშორისო ორგანიზაციები არსებობენ ქალთა უფლებების დასაცავად? ამ ორგანიზაციების მიერ ქალების რომელი უფლებების დაცვა ხდება?

8. ეკონომიკური განვითარება

ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში დიდია ნავთობისა და გაზის როლი. რომელი პროტუქცია იწარმოება ნავთობისაგან? რა როლი აქვს ნავთობს და გაზს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში? მოდით, განვიხილოთ.

ძველი დროიდან ადამიანი ფიქრობდა საჭმლის მოპოვებაზე, ცხოვრების გაუმჯობესებაზე და საფრთხისაგან თავდაცვაზე. ადრე ადამიანები მცენარეებს იყენებდნენ საკვებად, ამზადებდნენ სხვადასხვა იარაღებს. შემდგომში მეცხოველეობითა და სოფლის მეურნეობით იყენებდნენ დაკავებულები. დროთა განმავლობაში იყენებდნენ წიაღისეულს.



რა როლი აკისრია ნავთობსა და გაზს ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში?

ჩვენ საბაზრო ეკონომიკის გზით უნდა ვიაროთ.

ჰეიდარ ალიევი

როდესაც ადამიანის საქმიანობის სფერო ვითარდებოდა, ჩამოყალიბდა ეკონომიკის ცნებაც. ესე იგი, ეკონომიკა კაცობრიობასთან ერთად შეიქმნა. ეკონომიკა ადამიანის საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია. წარმოუდგენელია საზოგადოება ეკონომიკის გარეშე.

ნებისმიერი სახელმწიფოს ძალა მისი ეკონომიკური სიძლიერით იზომება. ეკონომიკურად განვითარებული ქვეყნის მოსახლეობა უკეთ ცხოვრობს და მათი პრობლემები მოგვარებულია. ადამიანები თავიანთი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად მუდმივად აწარმოებენ პროდუქტებს.

თითოეული სახელმწიფო სიმტკიცე მისი ეკონომიკური ძალით იზომება. განვითარებული ეკონომიკის მქონე ქვეყნების მოსახლეობა კარგად ცხოვრობს. მათი მოთხოვნილებები დაკმაყოფილებულია.

საზოგადოების განვითარების კვალობაზე საზოგადოებრივი მეურნეობების ფორმები ერთმანეთს ენაცვლება. ეს მეურნეობის ფორმები იყო: ნატურალური, სასაქონლო და საბაზრო ეკონომიკის მეურნეობები.

საბაზრო ეკონომიკა თანამედროვე პერიოდში გაჩნდა და სხვა სამეურნეო ფორმების შემდეგ შეიქმნა.



როგორც განვითარებულ ქვეყნებში, აზერბაიჯანშიც არის საბაზრო ეკონომიკა. ამ დროს ადამიანები დამოუკიდებლად საქმიანობენ. საბაზრო ეკონომიკა ხელს უწყობს ადამიანს, რათა განავითაროს თავისი უნარი, ცოდნა და გამოცდილება. საბაზრო ურთიერთობები საქმიანობის ყველა სფეროს მოიცავს. საქონელი გამოდის ბაზარზე. პირველადი ფასი მისი ღირებულების მიხედვით განისაზღვრება. ბაზარში გაყიდვის ფასი კი ადამიანების მოთხოვნებისა და წინადადებების მიხედვით განისაზღვრება.

მოთხოვნა – იმ საქონლის წარდგენის ფორმაა, რომლის ყიდვა მყიდველს გარკვეულ ფასად სურს.

მოთხოვნის გაზრდა და დაკლება რამდენიმე მიზეზზეა დამოკიდებული. თუ საქონლის ფასი მაღალია, მაშინ მოთხოვნა დაბალია. თუ ფასი დაბალია, მაშინ მოთხოვნა მაღალია. მოთხოვნა აგრეთვე, მყიდველების საშუალებასა და ინტერესზეცაა დამოკიდებული.

? *თუნარს და რაულს სპორტული ტანსაცმლის შექმნა სურთ. თქვენი აზრით მათ რა უნდა გაითვალისწინონ ამ დროს?*

ეკონომიკის განვითარებით იზრდება ადამიანების შემოსავალიც. შემოსავლის გაზრდა კი, მოქმედებს ადამიანების მოთხოვნებზე. მაგალითად, განვითარებულ ქვეყნებში ადამიანები კომპიუტერებს, ტელეფონებს 3-4 წელიწადში ერთხელ იცვლიან. ზოგიერთ ქვეყანაში კი, აღნიშნული ნივთებს უფრო დიდი ხნის განმავლობაში იყენებენ.



რომელიმე პროდუქტისადმი მოთხოვნის გაზრდასთან ერთად იზრდება მისი წარმოებაც. ეს კი ბაზარზე შეთავაზების გაზრდას იწვევს. რა არის შეთავაზება?

შეთავაზება – მეწარმეების მიერ ბაზარზე გამოსატანი პროდუქტის რაოდენობაა. როგორც, უკვე აღვნიშნეთ, საბაზრო ეკონომიკაში მოთხოვნა

და შეთავაზება ერთმანეთს არეგულირებს. მოთხოვნის გაზრდა პროდუქტის ფასის გაზრდას იწვევს, შეთავაზების გაზრდა კი, მოთხოვნისა და ფასის შემცირებას იწვევს.


მიუხედავად თქვენი პროფესიისა, თქვენი ცოდნა და უნარი უნდა იყოს მაღალ დონეზე. რადგან, მხოლოდ განათლებულ ადამიანს შეუძლია ქვეყნის განვითარებაში წვლილი შეიტანოს.

კითხვები და დავალებები:

1. როგორ განისაზღვრება საბაზრო ფასი?
2. დაადგინეთ იმ საშუალებების სია, რაც ხელს უწყობს ჩვენი ქვეყნის ეკონომიურ განვითარებას.
3. დაწერეთ ესე ნავთობის მრეწველობის ეკონომიკაზე გავლენის შესახებ.
4. თუ მცირდება ქვეყნის მოსახლეობის საჭიროება, ეს მოქმედებს თუ არა ქვეყნის ეკონომიკაზე? განმარტეთ თქვენი აზრი.
5. დაამზადეთ პლაკატი ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური განვითარების შესახებ.
6. ეკონომიკის რომელ დარგს ანიჭებთ უპირატესობას?
7. თუ ფასი გაიზრდება მომხმარებელი ნაკლებ ბენზინს შეიძენს. ამ ნიმუშის საფუძველზე ააგეთ ფასის მოთხოვნილებაზე დამოკიდებულების გრაფიკი.
8. მოთხოვნილების შემცირება ფასის შემცირებისა და მოთხოვნილების შემცირების მიზეზი ხდება. მოიყვანეთ მაგალითები ამის შესახებ.

III. უსულოდან სულიერამდე

9. ნივთიერებების თვისებები
10. ნივთიერებების შემაღგენლობა
11. ელემენტები
12. შეიძლება ერთი ნივთიერებისაგან მივიღოთ ახალი ნივთიერება?
13. სუფთა და შერეული ნივთიერებები
14. ორგანული და არაორგანული ნივთიერებები
15. ორგანული ნივთიერებებიდან ცოცხალ ორგანიზმამდე
16. ადამიანი ბუნების უზენაესი არსება



9. ნივთიერებების თვისებები

უკვე ვიცით, რომ ჩვენს გარშემო არსებული სხეულები ნივთიერებებისგან შედგება. ნივთიერებებს აქვთ ოთხი მდგომარეობა: მყარი, თხევადი, ჰაერი და პლაზმა. რა განსხვავებაა ამ ფორმებს შორის? ამისთვის ვნახოთ, ქვემოთ აღნიშნულ ნივთიერებებს შორის განსხვავება ნახშირი, მარილი, წყალი, ჟანგბადი.

ნივთიერებების თვისებები:

ფიზიკური თვისებები:

- აგრეგატული მდგომარეობა, ფერი,
- სუნი,
- გემო.
- წყალში გახსნის უნარი და სხვა.

ქიმიური თვისებები:


- ერთი ნივთიერებიდან მეორედ გარდაქმნა,
- სხვა ნივთიერებებთან რეაქციის უნარი და სხვა.

ნივთიერებებს შორის განსხვავებებისა და მსგავსების განმსაზღვრელ ნიშნებს მათ თვისებებს უწოდებენ. ნივთიერებებს აქვთ ორი თვისება: ფიზიკური და ქიმიური.


? იბოეით განსხვავება შემდეგ ნივთიერებებს შორის: ნახშირი, სუფრის მარილი, წყალი და ჟანგბადი.




ვენახოთ, რამდენიმე თვისება. მყარი ნივთიერებებისგან შემდგარი სხეული ინარჩუნებს ფორმას. მისი ფორმის შეცვლისათვის საჭიროა ძალა. ზოგი სხეულები პლასტიური, ზოგი კი ელასტიურია. პლასტიური სხეულები შეკუმშვის დროს იცვლიან ფორმას, შემდეგ ვერ უბრუნდებიან პირველად ფორმას. მაგალითად: პლასტელინი და ცვილი ასეთი ნივთიერებებია. რეზინის მილი კი შეკუმშვის შემდეგ იბრუნებს თავის ფორმას. ეს არის ელასტიური ნივთიერება.



მყარი



სითხე




გაზი

სითხის ფორმა ადვილად იცვლება, მოცულობა კი სტაბილურია.

გაზებს არ აქვთ სპეციალური მოცულობა, იკავებენ მოცემულ მოცულობას

ავილოთ სამი ჭურჭელი. მათში მოვათავსოთ გაზი, სითხე და მყარი ნივთიერება. ერთი და იგივე ზომის ქვის დაწოლით შევკუმშოთ. რა მოხდება?

დაწერეთ თქვენი აზრები სურათების მიხედვით.



1. ნივთიერებების შეკუმშვის თვისებები იგივეა?
2. რატომ არ იკუმშება მყარი ნივთიერება?
3. რატომ იკუმშება სითხე გაზთან შედარებით ნაკლებად?

ნივთიერებების თვისების გათვალისწინებით ადამიანები მათგან სხეულებს ამზადებენ. მაგალითად, სხვადასხვა ნივთიერებებისგან, შუშისა და ლითონისგან შეიძლება ერთი ფორმის სხეული დამზადდეს.

კითხვები და დავალებები:

1. რომელია ნივთიერებების ქიმიური და ფიზიკური თვისება?
2. რითი განსხვავდებიან პლასტიკური და ელასტიური ნივთიერებები?
- 3 რა განსხვავებაა წყლის ფიზიკურ თვისებასა და ჰაერის ფიზიკურ თვისებას შორის?
4. შეადარეთ შუშისა და რეზინის თვისებები.
5. ორხანი გაბერილ ბუშტსა და ლითონის ნაჭერს ამჭიდროვებს. ამით რისი დადგენა სურს? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
6. დაწერეთ სუფრის მარილისა და შაქრის ფხვნილის, ჰაერისა და წყლის მსგავსი და განსხვავებული ფიზიკური თვისებები.

განსხვავება	მსგავსება

10. ნივთიერებების შემადგენლობა

ჩავატაროთ რამდენიმე ექსპერიმენტი:



კრისტალური ნივთიერების წყალში გახსნა

1. დაჭერით ფურცელი წვრილად.
2. შაქარი დაამტვრიეთ ჩაქუნით.
3. ჭიქიდან ამოიღეთ რამდენიმე წვეთი წყალი. თქვენი აზრით აღნიშნული ნივთიერებები უმცირეს ნაწილებად დაყავით? დაწერეთ თქვენი აზრი. თქვენი აზრით აღნიშნული ნივთიერებები უმცირეს ნაწილებად დაყავით? დაწერეთ თქვენი აზრი. ასლა ჩავატაროთ შემდეგი ექსპერიმენტები:
4. შაქარი ჭიქაში თბილ წყალში ავუროთ.
5. ფერადი კრისტალური* ნივთიერება გავხსნათ წყალში.

რა დაინახეთ?


მყარი ნივთიერების ნაწილები სითხეშია. პატარა ნაწილაკები მოლეკულებისგან, მოლეკულები კი ატომებისგან შექმნილია. ადრე ატომი განუყოფელს ნიშნავდა. შემდგომში კი, მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ატომების გაყოფაც შესაძლებელია.



დემოკრიტე

პირველად ჩვენ წელთაღრიცხვამდე დაახლოებით 2500 წლით ადრე, დემოკრიტემ თქვა, რომ ნივთიერებები განუყოფელი ნაწილაკებისგან შედგება.

ბუნებაში ასზე მეტი ატომია. ატომების შეერთებით იქმნება მოლეკულები. ზოგიერთი ნივთიერება ერთნაირი ატომებისგან შედგება, ზოგი კი სხვადასხვა ატომებისგან. მაგალითად, ჰაერში ჟანგბადის გაზი და აზოტი ერთნაირი ატომებისგან, ნახშირბადის გაზი კი სხვა ატომებისგანაა შემდგარი. წყლის მოლეკულის შემადგენლობაში კი, ჟანგბადისა და წყალბადის ატომებია.




იოდის მოლეკულა

ბუნებაში უმცირესი ატომი წყალბადის, უდიდესი ატომი კი იოდისაა.

*კრისტალი – ბერძნულად ყინულის ან მთის ბროლის მნიშვნელობით იხმარებოდა.

ატომები და მოლეკულები მუდმივად მოძრაობენ. მოლეკულებს შორის არსებობს მიზიდულობა. ეს ძალა გაზებში ძალიან ცოტაა. სითხის მოლეკულებში კი მიზიდულობა შედარებით ბევრია. მყარ ნივთიერებებში უფრო მეტია



წყლის მოლეკულის სტრუქტურა

მოლეკულები, რომლებიც ერთნაირი ატომებისგან შედგება:
აზოტი
წყალბადი
ჟანგბადი
ქლორი
მოლეკულები, რომლებიც სხვანაირი ატომებისგან შედგება:
წყალი
მარილი
შაქარი
სახამებელი

კითხვები და დაგალებები:

1. ატომებს რატომ უწოდებდნენ „განუყოფელს“?
2. როდესაც მარილს ვამატებთ საჭმელში, სად მიდის მისი მცირე ნაწილაკები? დაასაბუთეთ თქვენი აზრი.
3. თუ ყველა ნივთიერება ერთი და იგივე ატომებისგან იქნებოდა შემდგარი, შეიცვლებოდა თუ არა ბუნებაში ნივთიერებების რაოდენობა?
4. დაწერეთ ნივთიერება, რომელიც ორი გაზისგან შედგება, მაგრამ სითხეა.

11. ელემენტები

ცნება, ქიმიური ელემენტი მეცნიერებაში მე-19 საუკუნის დასაწყისში ინგლისელი მეცნიერი ჯონ დალტონის მიერაა შემოტანილი. რა არის ქიმიური ელემენტი? რითი განსხვავდება ატომის ელემენტებისგან? ამ კითხვებზე პასუხის გაცემისთვის, ვნახოთ, რას ნიშნავს „ელემენტი“. ელემენტი ნიშნავს „შემადგენლობას“, „ნაწილს“. ატომები ელემენტების, ელემენტები კი ნივთიერებების შემადგენელი ნაწილია. უკვე საგნების-ფიზიკის, ქიმიის სწავლების დროს ხშირად შეგხვდებოდა ეს სიტყვები. არსებობს ატომის ასზე მეტი სახეობა. თქვენ იცით, რომ ამჟამად ასზე მეტი ელემენტი არის ცნობილი.

O

წყალბადი

H

ჟანგბადი

N

აზოტი

C

ნახშირბადი

Fe

რკინა

Cu

სპილენძი

არ შეიძლება ცნებების – ატომი და ქიმიური ელემენტი – გაიგივება. ცნობილია, რომ ელემენტებს გააჩნიათ სხვადასხვა მასის ატომები. ატომები კონკრეტული ნაწილაკები არიან.

ძვირფასი ქვების უმრავლესობა რამდენიმე ელემენტისგან შედგება. ალმასი კი, მხოლოდ ნახშირბადის ატომებისგან შედგება.

წყლის შემადგენლობაში წყალბადისა და ჟანგბადის ელემენტებია. შაქრის შემადგენლობაში კი ნახშირბადის, წყალბადისა და ჟანგბადის ელემენტებია. ესე იგი, ნივთიერებები სხვადასხვა ელემენტებისგან შედგება. პლანეტებიც კი, ელემენტებისგან შედგება. ქიმიური ელემენტები ორ ჯგუფად იყოფა: ლითონები და არალითონები.

ლითონები ნორმალურ მდგომარეობაში მყარია, კარგად ატარებს ელექტროენერგიას და სითბოს, პლასტიკურია. არალითონები კი, არ ატარებს ან ცუდად ატარებს ელექტროენერგიას და სითბოს. არალითონები მყარი, თხევად და აირად ფორმაში არიან.

ლითონები
სპილენძი
ოქრო
ვერცხლი
ალუმინი
მაგნიუმი
რკინა
არალითონები
წყალბადი
იოდი
ნახშირბადი
აზოტი
წყალბადი
ფოსფორი

Ag

ვერცხლი

P

ფოსფორი

I

იოდი

Mg

მაგნიუმი

ლითონისგან დამზადებული სხეულები:



რკინა



სპილენძი



ბრინჯაო



ალუმინი



ოქრო



ვერცხლი

არალითონისგან დამზადებული სხეულები:



აგური



მინა



რეზინი



**პლასტიკური
მასალა**



ფიცარი



თიხა

ამჟამად ელემენტებისგან შედგება მილიონობით ნივთიერება. ელემენტები სპეციალური ნიშნებით აღინიშნება. ნიშანი კი ელემენტის ლათინური სახელწოდების პირველი ან პირველი ორი ასოა.

ქიმიური ელემენტების სახელწოდება სხვადასხვა პრინციპების გათვალისწინებითაა შერჩეული. ზოგიერთის სახელწოდება მათი თვისებებიდან გამომდინარეობს. (ფოსფორი ანათებს), ზოგი მზის სისტემის პლანეტების სახელს ატარებს (ურანი, სელენი და ა.შ.). ასევე ზოგიერთი ქვეყნების და კონტინენტების სახელებსაც უკავშირდება (გერმანიუმი, ეროპიუმი). ზოგი კი ცნობილი მეცნიერების სახელთან არის დაკავშირებული.

კითხვები და დავალებები:

1. შეიძლება თუ არა ნივთიერებების შემადგენლობაში ელემენტები განსხვავებული იყოს?
2. განასხვავეთ ოქრო და ჟანგბადი მათი თვისებების მიხედვით.
3. მოამზადეთ ლითონებისგან დამზადებული საგნების სია.
4. შეაგროვეთ იოდის თვისებებისა და მნიშვნელობის შესახებ ინფორმაცია.
5. რომელი ნივთიერებებისგან ამზადებენ სამკაულებს?

12. შეიძლება ერთი ნივთიერებისგან მივიღოთ ახალი ნივთიერება?

მოდით ასეთ კითხვაზე ვიფიქროთ: შეიძლება ერთი ნივთიერებისგან მივიღოთ ახალი ნივთიერება? გაიხსენეთ ილუზიონისტების ქმედებები. სპილენძისგან ოქროს აკეთებენ და პირიქით. სინამდვილეში ეს არ არის ერთი ნივთიერებისგან მეორეს მიღება. ამ დროს თვალეები გვატყუებენ. ვერ ვხედავთ მოვლენის ნამდვილ მხარეს. როგორ შეიძლება ამის ახსნა? შეიძლება თუ არა ეს მოვლენა ერთი ნივთიერებისგან მეორეს მიღებად ჩავთვალოთ?

მოდით ერთად ვნახოთ და პასუხისთვის ჩავატაროთ რამდენიმე ექსპერიმენტი.

1. ცალ-ცალკე დავამტვრიოთ შაქარი და ნივთი.

2. დავადნოთ ცვილი და შოკოლადი ალუმინის ჭურჭელში

3. ქაღალდი და მუყაო დავჭრათ წვრილად

ამ დროს რა ცვლილება დაინახეთ?

როდესაც ერთი ნივთიერებისგან მეორე არ მიიღება, ეს არის ფიზიკური ცვლილება.




ვიცით, რომ ნივთიერების ფიზიკური თვისებებია: მისი აგრეგატული მდგომარეობა, ფერი, სუნი, გემო, სიმკვრივე, წყალში გახსნისა და სითბოს, ელექტრო გამტარიანობის უნარი.

ჩავატაროთ რამდენიმე ექსპერიმენტი.

1. დავჭრათ კარტოფილი და დავაწვეთოთ რამდენიმე წვეთი იოდი.

2. დავწვათ ქაღალდი

3. შუშაში გავათბოთ შაქარი



ამ დროს რა ცვლილება შენიშნეთ?

- რამდენიმე წვეთი იოდის დამატებისას რატომ იცვლის კარტოვილი ფერს?
- რატომ შავდება ქაღალდი დაწვისას?
- შაქარი დაწვისას ჯერ დნება, შემდეგ შავდება. როდის მიიღება ამ დროს ახალი ნივთიერება?

როდესაც ერთი ნივთიერებისგან მეორე მიიღება, ეს არის ქიმიური ცვლილება. ნივთიერებების ქიმიური თვისებები არის მათი გარდაქმნა სხვა ნივთიერებად. თქვენ ჩატარებული ექსპერიმენტებით გაიგეთ რა არის ფიზიკური და ქიმიური ცვლილება. ყოველდღიურ ცხოვრებაშიც ხშირად შეგხვდებათ ასეთი მაგალითები.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის ნივთიერების ქიმიური თვისება?
2. ცხრილში ჩაწერეთ ინფორმაცია რკინის ფიზიკურ და ქიმიურ თვისებებთან დაკავშირებით.
3. ყოველდღიურ ცხოვრებაში როგორ იცვლება ნივთიერებები? დაწერეთ მაგალითებით.
4. ჩამოთვალეთ ყოველდღიურ ცხოვრებაში სხვადასხვა პროფესიის ადამიანების მიერ გამოყენებული ნივთიერებები. დაადგინეთ, როგორ იცვლება ეს ნივთიერებები. შეავსეთ ცხრილი.

პროფესია	გამოყენებული ნივთიერება	ცვლილება
1. პურის მცხობელი		
2. მზარეული		
3. მღებავი		
4. დალაქი		
5. მჭედელი		



5. განმარტეთ რა ცვლილება ხდება ქაღალდის წვრილ ნაწილებად დაჭრის დროს.
6. დაწერეთ მაგალითები რომელიმე საჭმლის დამზადების დროს მომხდარ ცვლილებების შესახებ.

13. სუფთა და შერეული ნივთიერებები


რა მოხდება, შაქარი რომ გავხსნათ წყალში? რისი თქმა შეგიძლიათ მყარი შაქრისა და წყალში გახსნილი შაქრის შესახებ?



ჩვენს გარშემო ნივთიერებები ძირითადად შერეულია. ჰაერი, მიწა, ან ზღვის წყალი, ყველა შერეული ნივთიერებებისგან შედგება.



ნარევი



ნავთობის შემადგენლობაში ქიმიური ელემენტების დაახლოებით 380 რთული ნაერთია.

რისი თქმა შეგიძლიათ ზემოთ მოცემული სურათების შესახებ?

ნივთიერებები, რომლებიც მხოლოდ ერთი ელემენტისგან ან ერთნაირი მოლეკულებისგან შედგება სუფთა ნივთიერებებია. ბუნებაში მათი რაოდენობა ძალიან ცოტაა: წყალბადი, ჟანდბადი, ოქრო და წყლის ორთქლი სუფთა ნივთიერებებია.

სუფთა ნივთიერებების თვისება არ იცვლება. მაგალითად, წყალი 0 გრადუსზე იყინება, 100 გრადუსზე კი დუღდება. შერეულების თვისებები კი იცვლება. ეს დამოკიდებულია მათ შემადგენლობაში არსებული ნივთიერებების რაოდენობაზე. მაგალითად წყალში გახსნილი მარილის რაოდენობის მიხედვით იცვლება წყლის ადუღებისა და გაყინვის ტემპერატურაც.

როგორ შეიძლება შერეული ნივთიერებებისა და სუფთა ნივთიერებების განსხვავება? ამისთვის არსებობს რამდენიმე მეთოდი.

კრისტალიზაცია
დაღეკვა
გათხევადება
ფილტრაცია
აორთქლება
დისტილაცია

ზემოთ აღნიშნული მეთოდების გამოყენებით, უნდა გავეოთ შერეულები.



ამჟამად დამტკიცებულია, რომ ზოგიერთი ნივთიერება ძალიან მნიშვნელოვანია. მაგალითად, კოსმონავტიკაში, რადიოტექნიკაში გამოიყენება ასეთი სუფთა ნივთიერებები. ჩვენს გარშემო და ჩვენს სხეულში არის შერეულები. ჰაერი, რომლითაც ვსუნთქავთ, შუშა, მიწა, ჩვენი სისხლი, ოფლი შერეულებია.

ნივთიერება შეიძლება იყოს მარტივი და რთული.

მარტივია ნივთიერება, რომელიც ერთი სახის ატომებისგან შედგენილია, ხოლო რთული ნივთიერება რამდენიმე ატომის შეერთებითაა შედგენილი

ნივთიერებები

მარტივია:

წყალბადი

ჟანგბადი

ოქრო

ვერცხლი

აზოტი

იოდი

რთულია:

წყალი

მარილი

შაქარი

ნახშირის გაზი

კითხვები და დაგალებები:


1. რეულებში დაწერეთ, რამდენი ნივთიერების შეერთებაა ყავაში.
2. გააკეთეთ ცხრილი და თქვენს გარშემო არსებული სუფთა და შერეული ნივთიერებების ნიმუშებით შეავსეთ.
3. აიღეთ ცოტა მიწა, შეურიეთ წყალში. დაწერეთ რაც ნახეთ.
4. ადრე როგორ აკეთებდნენ რძისგან კარაქს? დაწერეთ.
5. დაადგინეთ, თუ როგორ შეიძლება მარილიანი წყლისგან მარილის გამოყოფა.
6. მაგნიტის საშუალებით რომელი ნარევის გაცალკავებაა შესაძლებელი?
 - * სუფრის მარილი და შაქრის ნამცეცები;
 - * ცარცის ფხვნილისა და წყლის ნარევი;
 - * ლურსმინისა და მიწის ნარევი.

14. ორგანული და არა ორგანული ნივთიერებები

სხვა როგორ შეიძლება ბუნებაში არსებული ნივთიერებების განსხვავება?

ჟანგბადი,
წყალბადი,
ნახშირბადი
და აზოტი
უჯრედის ელემენტების
98 პროცენტს
შეადგენს.

ბუნებაში არსებული ნივთიერებები ორ ჯგუფად იყოფა: ორგანული და არა ორგანული. ასეთი დაჯგუფება არ არის შემთხვევითი. წყალი, მარილები, ფერფლი და ა. შ. არაორგანული ნივთიერებებია. ისინი ძირითადად უსულო ორგანიზმებში გვხვდებიან. ორგანული ნივთიერებები კი, ცოცხალ ორგანიზმებში ყალიბდება. ასეთი ნივთიერებების ლაბორატორიაში მიღება შეუძლებელი იყო. ცილები (ხორცი, კვერცხის ცილა), სახამებელი, ცხიმები, შაქარი და სხვ. ასეთი ნივთიერებებია. ამჟამად ასეთი ნივთიერებების ლაბორატორიაში მიღებაც შესაძლებელია. ყველა ორგანული ნივთიერების შემადგენლობაში არის ნახშირბადი. ამასთან ერთად მათში წყალბადი, ჟანგბადი და სხვა ელემენტებიცაა. ორგანული ნივთიერებების დაწვით მიიღება არაორგანული ნივთიერებები. მაგალითად, თესლი, რომ დაწვავთ, ის შავდება და მიიღება ნახშირი. შემდეგ კი იწვება და რჩება ფერფლი. დაწვის დროს ნახშირორჟანგი და წყალი გამოიყოფა. ამ დროს ორგანულ ნივთიერებიდან არაორგანული ნივთიერება მიიღება. ფოტოსინთეზის* დროს ნახშირორჟანგისა და წყლისაგან წარმოიქმნება ჟანგბადი და ორგანული ნივთიერებები სახამებელი და სხვა.



ბუნებაში ნივთიერების მიმოქცევა

*ფოტოსინთეზი – ბერძნული სიტყვაა. ფოტონ – შუქი. სინთეზი – შეგროვება.

ცოცხალი ორგანიზმები უჯრედებისგან შედგებიან. უჯრედი ცოცხალი ორგანიზმის უმცირესი ნაწილია. უჯრედის შემადგენლობაც ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებებისგან შედგება. იცით, რომ ჩვენს ძვლებში არაორგანული და ორგანული ნივთიერებებია?

მოდით ერთად ვნახოთ და პასუხისთვის ჩავატაროთ რამდენიმე ექსპერიმენტი.

1. დავაკვირდეთ ძვალს, რომელზეც ქლორიდის მუავა იყო დასხმული და შენახულია ერთი დღე. რა ცვლილება მოხდა?


2. დავწვათ ძვალი. რა ცვლილება მოხდა?



ამ ექსპერიმენტით, გავიგებთ ძვალში რამდენად მნიშვნელოვანია ორგანული და არაორგანული ნივთიერებები. ძვლის სიმყარე დამოკიდებულია არაორგანული ნივთიერებების სიმყარესა და ორგანული ნივთიერებების ელასტიურობაზე.

კითხვები და დავალებები:

1. ადამიანები ლაბორატორიაში ხელოვნურ კვერცხს, აბრეშუმს და სხვას ამზადებენ. რისი თქმა შეგიძლიათ ამ ნივთიერებების მნიშვნელობაზე?
2. რა განსხვავებაა ორგანულ და არაორგანულ ნივთიერებებს შორის?
3. დაწერეთ იმ ორგანული და არაორგანული ნივთიერებების სია, რომლებიც ჩვენს საკვებში არსებობს.
4. სურათზე გაარჩიეთ რომელია მდიდარი ორგანული ნივთიერებებით და რომელი არაორგანულით?



5. ექსპერიმენტით დაასაბუთეთ, რომ მცენარეებისგან მიღებული პროდუქტები ორგანული ნივთიერებებით მდიდარია. დაწერეთ თქვენი აზრი.
6. დაწერეთ ესე თემაზე: “რა მოხდება, თუ ბუნებაში აღარ დარჩება ორგანული ნივთიერება?”


15. ორგანული ნივთიერებიდან ცოცხალ ორგანიზმამდე

შეხედეთ სურათს. იქ ბევრი ნაწილებია. რომ ავაწყოთ ავტომობილი გამოვა?

ცოცხალი ორგანიზმებიც ასეთი ნაწილაკებისგან შედგებიან. მაგრამ, ეს ნაწილაკები იმდენად პატარაა, რომ შეუიარაღებელი თვალით მათი ნახვა შეუძლებელია. ამისთვის გამოიყენება მიკროსკოპი. მიკროსკოპით შეიძლება უჯრედების დანახვა. უკვე იცით, რომ უჯრედები ორგანული და არაორგანული ნივთიერებებისაგან შედგება. სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმების უჯრედები რითი განსხვავდებიან ერთმანეთისგან?




უჯრედების დასანახად საჭიროა მიკროსკოპისა და მისი მუშაობის პრინციპის ცოდნა. მიკროსკოპის აღმოჩენამდე ცოცხალი ორგანიზმების სტრუქტურა ადამიანებისთვის საიდუმლო იყო. მცირე ორგანიზმები, კი საერთოდ უცნობი იყო ადამიანებისთვის. ავადმყოფობის მიზეზები არ იყო დადგენილი. მედიცინა არ იყო განვითარებული. ხალხური მედიცინით კი, მხოლოდ გარკვეული სნეულებების მკურნალობა შეიძლებოდა. მიკროსკოპის აღმოჩენით აიხსნა ბევრი საიდუმლო. ბევრი სიახლე შემოვიდა მეცნიერებაში.




ბაქტერიის უჯრედი



სოკოს უჯრედი



მცენარის უჯრედი



ცხოველის უჯრედი

უჯრედებს მიკროსკოპით პირველად რობერტ ჰუკი *კორპის ნიმუშს დააკვირდა. პირველ ერთუჯრედიან ორგანიზმებს კი, ჰოლანდიელი მეცნიერი ანტონ ვან ლევენჰუკი თავისი მიკროსკოპით დააკვირდა. მაგრამ, მაშინდელი მიკროსკოპები ნათლად არ აჩვენებდნენ უჯრედებს. დროთა განმავლობაში გაუმჯობესდა და შეიქმნა თანამედროვე მიკროსკოპები. თანამედროვე მიკროსკოპებს შეუძლიათ უჯრედის ათასჯერ გადიდება. არსებობს ელექტრონული მიკროსკოპი. უკვე ცნობილია, რომ სხვადასხვა უჯრედები ერთმანეთს ჰგვანან ან განსხვავდებიან.




ელექტრონული მიკროსკოპი

ყველა უჯრედს აქვს პლაზმური მემბრანი და ციტოპლაზმა.	ციტოპლაზმაში ციტოპლაზმის ორგანოიდები მდებარეობს	მცენარის, ცხოველისა და სოკოს უჯრედებში ბირთვია.	ბაქტერიებს არ გააჩნიათ ბირთვი
--	---	---	-------------------------------

შეიძლება ერთი უჯრედი ერთი ორგანიზმი იყოს: ბაქტერიები, სოკო, მცენარე, ზოგიერთი ცხოველი.	ცხოველის უჯრედისგან განსხვავებით, სხვა ცოცხალი ორგანიზმების უჯრედებში მემბრანზე სქელი ფენა – ქერქი არის.	სხვადასხვა ცოცხალი ორგანიზმების უჯრედებს აქვთ მსგავსი და განსხვავებული თვისებები.
--	--	---

ადამიანის ორგანიზმში ტრილიონობით უჯრედი.



ადამიანის უჯრედის მოდელი

კორპი* - ხის ღეროს ნაწილი



უჯრედი ერთ ქარხანას ჰგავს, რომლის კედლები პლაზმურ მემბრანას, შინაგანი მხარე ციტოპლაზმას, მოძუშავეები ორგანოიდებს, ხელშეკვარელობა კი ბირთვის ჰგავს. თუ ეს ცხოველის უჯრედი იქნება, რას ვააკეთებდით იმხათვის, რომ ის მცენარის უჯრედს დაშვავებოდა?

ამჟამად დედამიწაზე ცოცხალი ორგანიზმები 4 ჯგუფად იყოფიან: ბაქტერიები, მცენარეები, სოკოები და ცხოველები. თქვენ იცით, რომ ესენი უჯრედებისგან შედგება. ბუნებაში არსებობენ ისეთი ცოცხალი ორგანიზმები, რომლებსაც არ აქვთ უჯრედული სტრუქტურა. ესენია ვირუსები. მიხნეულია, რომ ვირუსები ცოცხალ ორგანიზმებსა და უსულო ორგანიზმებს შორის გადასასვლელია. ბუნებაში ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმის ნახვა მხოლოდ მიკროსკოპითაა შესაძლებელი, ზოგიერთი ცოცხალი ორგანიზმი კი, ძალიან დიდია.



ბირთვი. მემკვიდრეობით ნიშნებს ატარებს.



მიტოქონდრიები. ენერჯის წყაროა.



ქლოროპლასტი. მცენარეებში ახორციელებს ფოტოსინტეზს



ვაკუოლი. უჯრედის წვენით საესეღრუა. მცენარეებში მას სამარაგო ფუნქცია აქვს.

ამ ჩამონათვალისაგან ასეთ დასკვნას ვაკეთებთ, რომ ადამიანები სხვა ცოცხალ ორგანიზმებთან ერთობლიობას წარმოადგენენ. მათი უჯრედების სტრუქტურა ცხოველების უჯრედების სტრუქტურას ჰგავს. ესე იგი, ცოცხალი ორგანიზმები ერთუჯრედიანებიდან მრავალუჯრედიანობამდე, ისინი კი ადამიანამდე განვითარდნენ.

კითხვები და დაგალებები:

1. შეიძლება ერთი უჯრედი ერთი ორგანიზმი იყოს? როგორ განმარტავდით ამას?
2. რომ არ აღმოჩენილიყო მიკროსკოპები, ცოცხალი ორგანიზმების რომელ თვისებებზე არ გვექნებოდა ინფორმაცია?
3. შეაგროვეთ ინფორმაცია იმ ცოცხალი ორგანიზმების შესახებ, რომლებს ნახვა მხოლოდ მიკროსკოპითაა შესაძლებელი.
4. არის კიდევ საიდუმლოებები ცოცხალი ორგანიზმების შესახებ? განმარტეთ

16. ადამიანი – ბუნების უზენაესი არსება.

ადამიანს არ შეუძლია იცხოვროს ბუნებისგან შორს. რადგან მისი ცხოვრებისთვის ყველაფერი ბუნებიდან მოდის. ადამიანი ბუნებით სარგებლობს. ადამიანი ვერ იცხოვრებს ბუნების, მზის, წყლისა და ჰაერის გარეშე. ადამიანი ბუნებისგან საკვებს იღებს, იყენებს სხვადასხვა რესურსებს. მაგრამ ბუნების გეგმის გარეშე ათვისებისას ადამიანი ზიანს აყენებს მას.

ადამიანის არსებობა და ჯანმრთელობა დამოკიდებულია გარემოზე. ადამიანის მიერ ბუნებისთვის მიყენებული ზიანი არის საკუთარი თავის ზიანი.

ადამიანის ბუნებაში როლი, ბოლო დროის განმავლობაში მთლიანად შეცვლილია. ადრე ადამიანის მიერ მიყენებული ზიანი იყო ჩვეულებრივი ცოცხალი ორგანიზმის მიერ მიყენებული ზიანი. ადამიანი ბუნების ეკოლუციის პროდუქტია. მაგრამ ერთადერთი ცოცხალი არსება ადამიანია, რომელიც არ ეგუება ბუნებას. ადამიანმა ისეთი პირობები შექმნა, რომ შეიძლება ყველა იარაღზე საშიში – „ეკოლგიური აფეთქება“ მოხდეს. ადამიანის ქმნილებებს შეუძლია მთელი ბუნების განადგურება. ატომური ბომბის* შექმნა, ქიმიური და ბიოლოგიური იარაღების წარმოება, სოფლის მეურნეობაში გამოყენებული ნივთიერებები ზიანს აყენებს ბუნებას. მეორე მსოფლიო ომის დროს ამერიკის მიერ იაპონიაში ჩამოგდებული ბომბები ამის ნათელი მაგალითია. მაგრამ ადამიანი ჯერ კიდევ სუსტია, ბუნების მოვლენების წინაშე. ბოლო წლების განმავლობაში მომხდარი სტიქიები, მიწისძვრები ამის მაგალითია.

ადამიანის ბუნებაზე დამოკიდებულებაც დროთა განმავლობაში იცვლება. ადრე ადამიანის მიერ მიყენებული ზიანი იყო ჩვეულებრივი ცოცხალი ორგანიზმის მიერ მიყენებული ზიანი (გავლენა). მაგრამ შემდგომში მან ბუნების შეცვლა დაიწყო. ტყეების გაჩეხვით, უდაბნოებში წლის შეყვანით, ცხოველების მოშინაურებით, ქალაქების აშენებით, გზებით, შეიცვალა ბუნება. თითქოს ახალი ბუნება შეიქმნა.

ადამიანი ამ მიწაზე მოსული უძლიერესი არსებაა.

სოფოკლე.

*ატომური ბომბი - ძლიერი ასაფეთქებელი ძალა.



ხარიბუღბული - ყვავილი

ახლა ადამიანები ახალ მცენარეებს, ცხოველების სახეობებს ქმნიან, ხელოვნურ ტყეებს აშენებენ. უვარგის მიწებს ვარგისად აქცევენ. ეროვნულ პარკებს და ნაკრძალებს ქმნიან.

ასეთი მოსაზრებაა, რომ დედამიწაზე არ არის ისეთი ტერიტორია სადაც არ იგრძნობა ადამიანის საქმიანობა. ადამიანი ერთადერთი არსებაა, რომელსაც თავისი სურვილის მიხედვით ბუნების შეცვლა შეუძლია. ის არღვევს ბუნების კანონებს. ეს კი ძირითადად კატასტროფით მთავრდება. ქალაქების,

ტექნიკის, მრეწველობის გაზრდით უფრო დიდ ზიანს იღებს ბუნება. მაგრამ უნდა ვიცოდეთ, რომ ბუნება დედაა, ბუნება უნდა გვიყვარდეს ჩვენი დედასავით.

აზერბაიჯანის ბუნება ძალიან ლამაზი და მიმზიდველია. თითოეული ჩვენგანი ვართ მისი ნაწილი. უნდა ვიზრუნოთ მასზე. სამწუხაროდ, ჩვენი სამშობლოს ერთ-ერთი ულამაზესი მხარე მთიანი ყარაბაღი მტრის მიერაა ოკუპირებული. ჩვენი ლამაზი ტყეები, მთები, მშვენიერი წყაროები ჩვენგან დახმარებას ელოდებიან. სასწაულად მიჩნეული ხარი ბუღბული ჯიდირის ველზე იღუპება. ინგრევა ტოფხანას ტყე. ქებეჯერში - ისთისუთი, შუშაში - თურშსუთი მტრები სარგებლობენ. მათი გათავისუფლება ჩვენი სახელმწიფოსა და ყველა მოქალაქის ვალდებულებაა.

კითხვები და დავალებები:

1. დაადგინეთ ადამიანის მიერ ბუნებისთვის მიყენებული ზიანის სია.
2. თუ დაწერდი ბუნების დაცვის გეგმას, რას შეიტანდი იქ?
3. რატომაა ადამიანი ბუნების შემცველი ერთადერთი არსება?
4. ადამიანი მცენარეებს სასუქით კვებავს. სასუქები გვაყენებენ ზიანს?
5. დაწერეთ თემა სათაურით – „ვალდებული ვარ დავიცვა ბუნება“.

IV. უსაფრთხო ცხოვრება

17. ჯანმრთელობის პირობები
18. ჰიგიენა ჯანმრთელობის პირობაა
19. ინფექციური დაავადებებისაგან თავის არიდება
20. ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა
21. თავი დავიცვათ ბუნებაში არსებული სახიფათო მოვლენებისაგან
22. თავი დავიცვათ ტექნოგენური წარმოშობის ავარიებისაგან
23. ყურადღება მივაქციოთ საგზაო ნიშნებს



17. ჯანმრთელობის პირობები

ჩვენს ახლობლებს შეხვედრისას, ასევე დამშვიდობებისას ვუსურვებთ ჯანმრთელობას. რატომ?

ჯანმრთელობა ბედნიერი ცხოვრების ძირითადი პირობაა და გარანტიაა.

? როგორი ადამიანები ითვლებიან ჯანმრთელად? რა არის ჯანმრთელობის საწინდარი?

ზეტმედი წონა, მოწვევა, უმოქმედობა, ფსიქოლოგიური დატვირთვა, ინფექციური დაავადება და სხვ. ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია.

ჯანმრთელობის დაცვით ვიცხოვრებთ დიდხანს. ჯანმრთელი ცხოვრებისთვის მნიშვნელოვანია ქვემოთ ჩამოთვლილი წესების დაცვა:



- პირადი ჰიგიენისა და სისუფთავის დაცვა
- გარემოს სისუფთავის დაცვა
- მავნე ჩვევების თავიდან აცილება
- სწორი დასვენება
- სპორტი
- ინფექციური დაავადებებისგან თავის დაცვა
- რეპროდუქტიული ჯანმრთელობის დაცვა

ნარკოტიკული საშუალებები, ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს პროდუქტების ჭარბი გამოყენება მავნე ჩვევებად ითვლება. აღნიშნული ჩვევები ზიანის მომტანია, როგორც ორგანიზმისათვის, ასევე მთლიანი საზოგადოებისთვის.

? განიხილეთ ამხანაგებთან ერთმანეთს შეგუდართ ორი ადამიანი — ერთი სწორად იკვებება, ფიზიკურად აქტიურია, სწორად ისვენებს, არ ეწევა. არ იყენებს ალკოჰოლურ სასმელებს. მეორე ადამიანი კი ყველაფერს ჭამს, ნაკლებად მოძრაობს, დღე-ღამის განმავლობაში იძინებს 2-3 საათი, დღეში ორ კოლოფ სივარეტს ეწევა.





ადრეულ ასაკში ფიზიკური აღზრდითა და სპორტით დაკავება ძალიან მნიშვნელოვანია სხეულის სიჯანსაღისათვის. სპორტი სხეულს იცავს დაავადებებისგან და ტანიც უფრო ლამაზი აქვს. ამიტომაც, მაქსიმალურად ბევრი იმოძრავე, ითამაშე და ისეირნე სუფთა ჰაერზე. მაგრამ სპორტის დროს არ დაგავიწყდის რამდენიმე წესი. წინააღმდეგ შემთხვევაში ორგანიზმს ზიანს მიაყენებ. ვარჯიშის დაწყებამდე ნახევარი საათით ადრე უნდა შეწყვიტოთ ჭამა და სმა. ვარჯიში კი მარტივი მოძრაობებით უნდა დაიწყოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია დაავადებების საფრთხე.

ფიზიკური აღზრდა ჯანმრთელობის გარანტიაა, არეგულირებს გამძლეობას და ადამიანში ქმნის დადებით ემოციებს.

გაისხენეთ ჯანმრთელობის 3 ასპექტი.

„რეპროტუქცია“ - ლათინური სიტყვაა. ნიშავს „თავის მსგავსი ორგანიზმის შექმნას“. ცხოვრებაში ადამიანის უდიდესი მოვალეობა თაობების გაზრდაა, მაგრამ ამისთვის საჭიროა ფიზიკური და მორალური ჯანმრთელობა. საჭიროა შესაბამისი პირობების არსებობა. რეპროტუქციული ჯანმრთელობის საფუძველი ბავშვობიდან იქმნება. მთელი ცხოვრების განმავლობაში საჭიროა მისი დაცვა.





მზის სხივები – ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალებაა ორგანიზმისათვის. ალბათ ზაფხულის მოსვლასთან ერთად ფიქრობთ ზღვაზე წასვლს. ექიმების აზრით გარკვეულ საათებში მზის სხივების სწორად მიღება შეუდარებელი მკურნალობაა. მზის სხივების ქვეშ ორგანიზმში იზრდება ვიტამინ D-ს სინთეზი. ეს კი თქვენი ძვლებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მაგრამ არ

შეიძლება მზის აბაზანის ჭარბად გამოყენება. დიდიდან საღამომდე ზღვის პირას მზის ქვეშ ყოფნა შეიძლება სხვადასხვა დაავადებების წარმოქმნის მიზეზი გახდეს. საჭიროა მზისგან დამცავი კრემების და ლოსიონების გამოყენება. ასევე, მანამდე არ უნდა ჭამოთ მძიმე საჭმელი, და უნდა მიიღოთ ბევრი სითხე. უნდა აღადგინოთ სხეულის სითხის დანაკარგი. იმ შემთხვევაში, თუ არ აღდგება სხეულიდან ოფლის სახით გამოსული სითხე, შეიძლება დადლილობა ან თავის ტკივილი დაგეწყოთ.

**დრო
გაატარეთ
სუფთა
ჰაერზე**

სუფთა ჰაერი - ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა. ჰაერში არსებული უანგბადი ორგანიზმისთვის ძალიან მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ქალაქებში ჰაერი სხვადასხვა მანერე მინარევეებითაა გაჯერებული, ეს კი ორგანიზმისთვის ზიანის მომტანია.



ასეთ პირობებში სუნთქვის დროს ორგანიზმი სუსტდება.

წყალი – ჯანმრთელობაა. სიცოცხლე პირველად წყალში შეიქმნა. ჩვენი სხეული 70-80% წყალია. ჩვენ საკვებს ვიღებთ წყლით. მავნე ნივთიერებები ორგანიზმიდან წყლით გადის. წყალი სისუფთავეს წყაროა. წლით ძლიერდება ადამიანის ორგანიზმი.

ჯანმრთელობა არ არის ყველაფერი. მაგრამ, ჯანმრთელობის გარეშე ყველაფერი არაფერია. არტურ შოპენჰაუერი

ბანაობა, ცურვა, შხაპის მიღება, სველი პირსახოცით ტანის გაწმენდა ასევე ამაგრებს ორგანიზმს.

ძალიან მნიშვნელოვანია ინფექციური დაავადებებისგან თავის დაცვა. დაავადებების პრევენციისთვის კი, მნიშვნელოვანია აცრა. დროულად გაკეთებული აცრა აძლიერებს იმუნიტეტს და იცავს ადამიანს დაავადებებისგან.



დროულად გავიკეთოთ აცრა.

თუ დაიცავთ ჯანსაღი ცხოვრების აუცილებელ პირობებს, რომლებსაც თქვენ გაეცანით, მაშინ ყოველთვის იქნებით ჯანმრთელად და მხნედ.

კითხვები და დავალებები:

1. პირადი ჰიგიენის რომელი წესები უნდა დავიცვათ?
2. რატომაა სპორტი ჯანმრთელობის გარანტიად მიჩნეული?
3. განმარტეთ მზის სხივების მნიშვნელობა.
4. რომელი წესები უნდა დავიცვათ მზის სხივების მიღებისას?
5. ცხრილის მიხედვით დაადგინეთ ჯანმრთელობის რომელი წესები უნდა დავიცვათ, წინააღმდეგ


სიტუაციები	ჯანმრთელობის პირობა	შედეგი
ალი მთელი დღე ბანაობს და ქვიშაზე წევს		
აქიფის დედა მეცნიერია. მთელი დღე კომპიუტერთან ზის.		
ლაღე მე-6 კლასში სწავლობს. იგი ღამის 12 საათამდე ტელევიზორს უყურებს.		

6. ჩამოწერეთ იმ ქმედებების სია, რომლებსაც ახორციელებთ ჯანმრთელობისათვის.

18. ჰიგიენა ჯანმრთელობის პირობაა

**ჰიგიენა - ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებული მეცნიერებაა. ამჟამად ადამიანის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით უამრავი წესებია შემუშავებული. წესები ორ ჯგუფად იყოფა: ზოგადი და პირადი ჰიგიენის წესები. რომელია ეს წესები და როგორ უნდა დავიცვათ? მოიფიქრეთ.*

პირადი ჰიგიენის დაცვა თითოეული ჩვენგანისთვის ყოველდღიურ ჩვევად უნდა იქცეს. ჰიგიენის წესების დაცვა მნიშვნელოვანია არა მარტო ჩვენთვის, არამედ ჩვენს გარშემო მყოფი ადამიანებისთვის. რადგან ჰიგიენის წესების დარღვევით იქმნება ინფექციური დაავადებები და ეს კი საფრთხეა სხვებისთვისაც.



სქოლიოზი

ახლა ისეთი დროა, რომ ინტერნეტის, კომპიუტერის გამოყენებით ნებისმიერ ინფორმაციას ვპოულობთ ადვილად. მაგრამ, როდესაც დიდი ხნის განმავლობაში ვზივართ კომპიუტერთან იცვლება ოთახის კლიმატი: ტემპერატურა, ხმა, რადიაცია. ჰაერში მრავლდება ბაქტერიები. ასეთ მიკროკლიმატში დიდი ხნის განმავლობაში ყოფნის დროს იღლება ადამიანი, სუსტდება ორგანიზმი. ასევე კომპიუტერთან არასწორად ჯდომისას შეინიშნება ხერხემლის გამრუდება. ეს კი მოქმედებს შინაგანი ორგანოების მუშაობაზე.

მნიშვნელოვანია ნერვული სისტემის დაცვა. ნერვული სისტემის დაძაბულობა იწვევს მის დაღლილობას. გაკვეთილების შემდეგ ძალიან მნიშვნელოვანია დასვენება. უწყვეტი კითხვა ასუსტებს ორგანიზმს, აზიანებს მეხსიერებას. ამიტომაც გაკვეთილებთან ერთად, ყოველთვის ითამაშეთ, გაისეირნეთ სუფთა ჰაერზე.

დახურულ სივრცეებში ხშირად გაანიავეთ ოთახი. დაიცავით სწორად ჯდომის წესები. ამით დაცული იქნები დაავადებებისაგან.



**ჰიგიენა - ბერძნულად „ჯანმრთელობას“ ნიშნავს. სისუფთავე ჯანმრთელობაა.*

ნორმალური ხერხემალი.

არანორმალური ხერხემალი კიფოზი

**სისუფთავე
ჯანმრთელობა**

სპორტი კუნთებს და ჩონჩხს ამაგრებს. აუმჯობესებს გულ-სისხლძარღვთა მიმოქცევას. ალამაზებს ტანს.

სკოლის მერხებთან არასწორი ჯდომა, წელის დახრა, ხერხემალში იწვევს ხარვეზებს. შევეცადოთ სწორად დავჯდეთ.

როდესაც არ ვიცვამთ ფეხსაცმელს ასაკის შესაბამისად, მაშინ ჩნდება ფეხის დაავადება. მაღალ ქუსლიანი ფეხსაცმელიც შეიძლება ასეთი პრობლემის გამომწვევი მიზეზი იყოს. რეკომენტირებულია ასაკის შესაბამისი ფეხსაცმლის ჩაცმა.

საჭმლის მომწელებელი სისტემის დაავადებები ხშირად ჰიგიენის წესების დარღვევითაა გამოწვეული. ამის თავიდან ასაცილებლად ჩვენი საკვები ახალი და ჯანსაღი უნდა იყოს.

სწორი და დროული კვება ბავშვის ჯანმრთელობისა და განვითარების პირველი პირობაა. კვება დადებითად მოქმედებს ტვინის მუშაობაზე. სწორი კვება ზრდის ორგანიზმის გამძლეობას.

საკვები პროდუქტები განსხვავებული უნდა იყოს. ყოველდღე უნდა ვჭამოთ ხილი, ბოსტნეული, მწვანე ხახვი რომელიც ვიტამინებით მდიდარია, ასევე სხვადასხვა მწვანილები, თევზი და ხორცი, რძის ნაწარმი. საკვების კარგად დაღეჭვა და ყოველ დღე სტაბილურად საათობრივი ჭამა ძალიან მნიშვნელოვანია ჯანმრთელობისათვის.

ფრთხილად ვიყოთ დაკონსერვებული საკვების ჭამის დროს.

შევამოწმოთ ნაყიდი პროდუქტების გამოყენების ვადა.

მოვერიდოთ სწრაფ კვებას.

უცხო წყაროებიდან არ დავლიოთ წყალი.

პროდუქტები არ უნდა შევინახოთ ღიად.



მე სწორად ვზივარ.

წესები, რომლებიც უნდა დაიცვათ ინფექციური დაავადებების თავიდან აცილების მიზნით:

შევეცადეთ არ გამოიყენოთ სხვისი ტანსაცმელი ან პირსახოცი;

ავადმყოფებთან კონტაქტის დროს გამოიყენოთ დამცავი საშუალებები;

ხშირად გაენიავოთ ოთახი, სადაც ავადმყოფი ადამიანი წევს;

მტვერი გაეწმინდოთ სველი ტილოთი.

წესები, რომლებიც უნდა დაიცვათ წიგნის კითხვისას თვალის დაავადებების თავიდან აცილების მიზნით:

შევეცადეთ შევინარჩუნოთ მანძილი წიგნსა და თვალს შორის;

მნიშვნელოვანია შუქი ჩვენს მარცხენა მხარეს იყოს;

არ უნდა წავიკითხოთ ტრანსპორტში;

შევეცადეთ შუქი არ იყოს სუსტი, როდესაც ჩვენ ვკითხულობთ.



სისუფთავე, ოთახის ტემპერატურა და ტენიანობა, ასევე ოთახის სინათლე თქვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია. მაღალ კლასებში გადასვლისას იცვლება მხედველობა. ამიტომაც კომპიუტერის ოთახებში, დარბაზებში მაქსიმალურად ბუნებრივი სინათლე უნდა იყოს. საჭიროა კომპიუტერის ოთახებში, დარბაზებში ჰაერის ხშირი განიავება.



შეიძლება ადამიანის კანზე ყალიბდებოდეს გარკვეული დაავადებები. მაგალითად სოკო.

კანის დაავადებების დროს ქავილი, ტკივილი აწუხებს ავადმყოფს. ანთება, სიმსივნე, ოფლი, ცხიმის ჯირკვლებში დარღვევები შეინიშნება. რა უნდა გავაკეთოთ ასეთი დაავადებების თავიდან ასაცილებლად?

კანის დაავადებების თავიდან ასაცილებლად უნდა დავიცვათ შემდეგი წესები:

- არ უნდა შევეხოთ უპატრონო ცხოველებს;
- ზღვაში ან აუზში ბანაობის შემდეგ შხაპი უნდა მივიღოთ;
- არ უნდა გამოვიყენოთ სხვისი სავარცხელი;
- არ უნდა გამოვიყენოთ სხვისი ტანსაცმელი;
- სუფთა უნდა იყოს ჩვენი ხელები და ფრჩხილები;
- არ უნდა გამოვიყენოთ ისეთი საშუალებები, რომლებიც აღიზიანებს კანს.

კითხვები და დავალებები:

1. რა არის პირადი ჰიგიენის წესები?
2. დაადგინეთ ჰიგიენის წესები, რომლებიც უნდა დაიცვან ბავშვებმა კლასში.
3. რას შესთავაზებდით სკოლაში ჰიგიენის წესების დაცვასთან დაკავშირებით ჩატარებულ ღონისძიებებს? დაადგინეთ რომელ წესებზე იქნება საუბარი აღნიშნულ ღონისძიებზე. დაამზადეთ შესაბამისი ბუკლეტები.
4. აინური სკოლაში დადის გრძელი ფრჩხილებით და ბინძური ხელებით. როგორ აუხსნი აინურს მოსალოდნელ საფრთხეებს?
5. თქვენს რვეულებში შეავსეთ ცხრილი.

ჯანმრთელობის პირობები	შედეგები
კბილების გახეხვა	
სწორი კვება	
ნორმალური ძილი	
სუფთა ჰაერზე სეირნობა	
ტრანსპორტში კითხვა	
ფრჩხილების გაზრდა	

19. ინფექციური დაავადებებისგან თავის არიდება

დედამ აიდანს საცურაო აუზზე წაიყვანა. მას მოსთხოვეს აიდანის ჯანმრთელობის შესახებ ცნობა. თქვენი აზრით, რატომ იყო საჭირო ეს დოკუმენტი?

ინფექციური დაავადებები საშიშია და ერთ ადამიანისგან მეორეზე გადადის. ასეთი დაავადებების უმრავლესობის მიზეზი მიკროორგანიზმებია. ისინი შედიან ორგანიზმში და ავრცელებენ დაავადებას.



დააჯგუფეთ მოცემული ინფექციური დაავადებები გამომწვევების

მიხედვით: ანეინა, ნუტყვავილა, ციმბირის წყლული, შიდა, ჰეპატიტი, გრიპი, წითელა, წითურა, ტუბერკულოზი.

ბუზები 70-მდე დაავადებას ატარებენ.

ინფექციური დაავადება შეიძლება გამწვავდეს და სიკვდილის მიზეზიც კი გახდეს. დაავადების გამავრცელებელი მიკრობები და ვირუსები ორგანიზმში ხვდებიან ჰაერით, წყლით, საჭმლით, სხვა ადამიანების ნივთების გამოყენებით, სისხლით, კოდოს კბენით და სხვ.

ინფექციური დაავადებების გარკვეულ ნაწილს ვირუსები ავრცელებენ. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო ჯანდაცვა ვირუსებს ებრძვის, დაავადებები არ მცირდება, პირიქით იზრდება მათი რაოდენობა. როდესაც ადამიანი ამასთან დაკავშირებით არ არის ინფორმირებული ან ნაკლებად ინფორმირებულია, აღნიშნული დაავადებები შეიძლება სიკვდილის მიზეზიც გახდეს. სპეციალისტები მიიჩნევენ, რომ ვირუსები სხვადასხვა გზით ვრცელდებიან. გრიპის ვირუსები ჰაერ-წვეთოვანი გზით ვრცელდებიან. ინფექცია შეიძლება გადავიდეს ავადმყოფი ადამიანების ნივთებზე, მასთან კონტაქტის შედეგად. ზოგიერთი დაავადების უდიდესი წყარო სტომატოლოგიური კაბინეტები, სილამაზის სალონები, საცურაო აუზებია. ამიტომაც ყველა იარაღი, რომელიც ადამიანის სხეულს ეხება უნდა იყოს სტერილური.




თუ ხართ დაინფიცირებული გრიპით

- ეცადეთ რამდენიმე დღე წლითი რეჟიმში დაიცვათ
- არ წახვიდეთ სკოლაში
- გამოიყენეთ ნიღაბი, რათა სხვებზე არ გავრცელდეს ვირუსი
- დაცემინების დროს პირზე ხელი მიიფარეთ



სალონებსა და სტომოტოლოგიურ კაბინეტებში ავტოკლავის არსებობა აუცილებელია. ამასთან დაკავშირებით იკითხეთ სალონებშიც, სტომოტოლოგიურ კაბინეტებშიც, რადგან ზემოთ აღნიშნული დაავადებების გავრცელებაში მათი როლი საკმაოდ დიდია. ამიტომაც, ფრთხილად ყოფნა არა მარტო ამ დაწესებულებების, არამედ ჩვენი ვალდებულებაა.

ჭიების დაავადებებიც ინფექციური დაავადებებია. უფრო 3-12 წლის ბავშვებში გვხვდება. ორგანიზმში შესაძლებელია ერთდროულად რამდენიმე პარაზიტი არსებობდეს. ეს კი იმუნიტეტის დასუსტებას, ალერგიას და კუჭ-ნაწლავის დარღვევას იწვევს. აზიანებს ორგანოებს და ქსოვილებს. აავიანებს ფიზიკურ და გონებრივ განვითარებას. ასეთი დაავადებების გამავრცელებელია ასკარიდა, ექინოკოკი, ღორის სოლიტერი და სხვ. ყველაზე ხშირად საკვებით ვრცელდება.



ექინოკოკი



ასკარიდა



ღორის სოლიტერი

ადამიანთა შორის საკმაოდ გავრცელებულია ერთუჯრედიანი ცხოველების მიერ გავრცელებული დაავადებები. ესეთებია: დიზენტერია, მალარიის პარაზიტი და სხვ.



ტუბერკულოზის ჩხირები

მაღარიის პარაზიტი, ტრიპანასომი, ლეიშმანია მწერების კბენით, დიზენტერიის ამება და ლიამბლია კი საკვებით ვრცელდება.

ტუბერკულოზი ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული დაავადებაა, რომელიც ბაქტერიებით ვრცელდება. ეს არის ინფექცია. ამ დაავადების გავრცელების ერთ-ერთი საშუალება დახურული დაბინძურებული სივრცეა. შეეცადეთ მოირიდოთ ასეთ გარემოს. გამოიყენეთ დამცავი საშუალებები. არ გამოიყენოთ დაავადებული ადამიანების ნივთები.

ინფექცია გადადის ხილით, ბოსტნეულით, რომელიც არ არის კარგად გარეცხილი, დაბინძურებული წყლით, ბინძური ჭურჭლის გამოყენებით, ხელით ჭამით, ფრჩხილების კვნებით და სხვ. ამიტომაც უნდა აკონტროლოთ თქვენი სახლის სისუფთავე. ასწავლეთ უმცროს და-ძმებს ჰიგიენის წესები. თუ დაიცავთ ჰიგიენის წესებს, დროულად მიმართავთ ექიმს, დაცული იქნებით ინფექციური დაავადებებისგან. ადამიანი არის თავისი თავის დამცველი და ყოველთვის უნდა იბრძოდეს ჯანმრთელობისთვის.

კითხვები და დავალებები:

1. ჭიებით დაავადებები რატომაა ინფექციური? პასუხი დაასაბუთეთ.
2. დაადგინეთ ინფექციური დაავადებების გავრცელების გზები.
3. წარმოიდგინეთ, თქვენ ხართ ჯანდაცვის სამინისტროს თანამშრომელი, მოსახლეობის დაავადებებისგან დაცვის მიზნით, რომელ პროფილაქტიკურ ღონისძიებებს ჩაატარებდით?
4. გააკეთეთ პლაკატი, ადამიანის ინფექციური დაავადებებისგან დაცვაზე.
5. მოცემული დაავადებების მიხედვით დაასრულეთ ცხრილი თქვენს რვეულებში: ტუბერკულოზი დიზენტერია, ექინოკოკოზი, წითელა, გრიპი, ჰეპატიტი, მალიარია.

დაავადება	გამავრცელებელი	დაცვის გზები

6. დაადგინეთ პროდუქტების შენახვის წესები.
7. პროდუქტები გარეცხეთ, ღიად არ შეინახოთ. რომ არ დავიცვათ, აღნიშნული წესები, რომელი დაავადებით ინფიცირების საფრთხე იარსებებს?

20. ჩვენი უსაფრთხოების უზრუნველყოფა

სარეცხი მანქანა, ელექტრო გამათბობელი, უთო, მტვერსასრუტი ყოველდღიური საყოფაცხოვრებო ნივთებია. ისინი გვეხმარებიან ყოველდღიურ საქმეებში. მაგრამ ესენი ხანდახან სახიფათონიც არიან ჩვენითვის. რა არის ეს საფრთხე? საფრთხის დროს როგორ უნდა მოვიქცეთ?

უცვებ მომხდარ მოვლენებს, რომლებიც დაზიანების, სიკვდილის ან უბედური შემთხვევის მიზეზი გამხდარა, უწოდებენ ავარიას. თანამედროვეობაში მეცნიერების, ტექნიკის განვითარებასთან ერთად ავარიული შემთხვევების რაოდენობაც იზრდება.

ავარიები, მატერიალურ ზიანთან ერთად ადამიანის სიცოცხლისთვისაც საფრთხის შემცველია. ავარია შეიძლება მოხდეს ყველგან, სახლში, გზაში, ქუჩაში და სხვა. ბევრი ადამიანი ფიქრობს, რომ სახლი ყველაზე უსაფრთხო ადგილია. მაგრამ, ავარიები ხშირად სახლში ხდება.

რომელი მიზეზებით ხდება სახლში უბედური შემთხვევები? შეაყსეთ ცხრილი

უბედური შემთხვევები სახლში	წაქცევები და დარტყმები	გაჭრა	მოწამლევა	დენის დარტყმა	ხანძარი
უბედური შემთხვევის მიზეზი					

ყოველდღიური ავარიები ძირითადად ბავშვებისა და მოხუცებისთვის არის ზიანის მომტანი. ამიტომაც ქვემოთ ჩამოთვლილები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

- ოჯახში, გარშემოში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ ახლადფეხადგმულ ბავშვებს;
- სახლში ფრთხილად იყავით საბურღი და მჭრელ იარაღებთან;
- როდესაც სამზარეულოში ეხმარებით მშობლებს, შორს იყავით ქიმიური ნივთიერებებისგან და წამლებისგან;
- თუ ოჯახში მოხუცები გყავთ, ეცადეთ სახლი ნათელი იყოს, კიბეებზე ჩასვლისას დაეხმარეთ მათ;
- გადაყარეთ ვადაგასული საჭმელები და წამლები, რათა თავიდან აიცილოთ მოწამლევა;
- საგანგებო შემთხვევების დროს დარეკეთ „101“ და „112“-ის სამსახურებზე.

თუ ტელევიზორი დაიწვა:
 უნდა გამოვრთოთ დენიდან, სახლშიც გადავკეტოთ ელექტროენერგიის წყარო;
 თუ მაინც გრძელდება წვა, სქელი ნაჭერი უნდა გადავაფაროთ ტელევიზორს;
 დავტოვოთ სახლი;
 დავხუროთ კარი და ფანჯარა;
 სახანძრო სამსახურში დავრეკოთ.

თქვენ უკვე მე-5 კლასიდან იცით, რომ ელექტროენერჯის გავლენა ადამიანზე, მის სიმძლავრესა და ადამიანის ღენის წყაროსთან შეხებაზე დამოკიდებულია. რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს?

თუ დაინახავთ ღია ელექტროკაბელს, მშობლებს აცნობეთ ამის თაობაზე;

ელექტრო ტექნიკის გამორთვისას არ შეეხეთ კაბელს;

სადენში შეაერთეთ მხოლოდ ერთი აპარატი;

გამაგრებულების გამოყენებისას ჯერ იგი გამორთეთ სადენიდან;

შეეცადეთ, ელექტრო კაბელები შორს იყოს გაზის მილებიდან, გამათბობელი ბატარეებისგან;



ამ წესების იგნორირება ხანძრით დამთავრდება.

ზოგიერთი საგანგებო შემთხვევა კი, ქუჩაში ხდება. ასეთი საფრთხის მიზეზი შეიძლება იყოს ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე ახლო მეგობარი – ძაღლი. უნდა ვიზრუნოთ ცხოველებზე, არ უნდა შევაწუხოთ. ზოგჯერ უპატრონო ძაღლები ძალიან სახიფათო არიან. ძაღლის თავდასხმის დროს ასე უნდა მოიქცეთ:



თუ ხელში გაქვთ ჩანთა ან ქოლგა, იმით დააშინეთ ძაღლი;

შეეცადეთ ძაღლი არ დარჩეს თქვენს უკან;

უპირველეს ყოვლისა დაიცავით ყელი;

თუ გაქვთ შარფი, დაიხვიეთ ხელზე;

თუ წაქცეული ხართ, შეეცადეთ სახე მიწისკენ გქონდეს, ხელით დაიფარეთ კისერი;

სატრანსპორტო საშუალებების მიერ შექმნილი სიტუაციებიც საგანგებო სიტუაციებია. ასეთი მოვლენების შედეგად დაზარალებუბან, როგორც მანქანაში მყოფი ადამიანები, ასევე ფეხით მოსიარულე ადამიანები. თქვენ უკვე მე-5 კლასიდან იცით ფეხით მოსიარულეთა წესების შესახებ. ვნახოთ რა საფრთხეებია და რა უნდა გავაკეთოთ აღნიშნული საფრთხეების დროს:



ტერაქტის შესაძლო საფრთხე:

- მოულოდნელ ადგილას გაყვანილი მავთულები;
- მეტროში, შენობის შესასვლელში ან სხვა ტრანსპორტში მიტოვებული ტომარა ან ჩანთა;
- მანქანების ქვეშ გაბმული მავთული;
- გზაში უადგილოდ გათხრილი ადგილები;
- უცნობი მისამართიდან ან ადამიანისგან ბანდეროლით გამოგზავნილი რაიმე საგანი ან ჩანთა.

ქცევის წესები:

- არ შეეხოთ ამგვარ საგნებს;
- ამის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია გადაეცით შესაბამის უწყებებსა და ორგანოებს.

ტერაქტი XXI საუკუნეში ძალიან გავრცელებულია. 2001 წლის 11 სექტემბერს ნიუ-ორკში მოხდა საშინელი ტერორისტული აქტი. ამ მოვლენის დროს ტერორისტების მიერ მართული 2 თვითმფრინავი შეეჯახა ცათამბჯენებს, რამაც ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი გამოიწვია.

ჩვენს ქვეყანაში სომხურმა ტერორისტულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს დიდი რაოდენობის ტერორისტული აქტები აზერბაიჯანელების წინააღმდეგ. ამასთან დაზარალებულთა უმრავლესობა იყო: ქალები, მოხუცები და ბავშვები.

- ქუჩაში არ დაეკონტაქტოთ უცნობ ადამიანებს;
- ღამით მარტო არ გახვიდეთ ქუჩაში, მთელიღამ უკაცრიელ და ნაკლებად განათებულ ქუჩებს;
- შორს იყავით ხალხმრავალი ადგილებისგან;
- შეეცადეთ შორს იყოთ იმ ადამიანებისგან და საგნებისგან, რომლებიც სახიფათო გერევენებათ. თუ საჭირო იქნება მიმართეთ პოლიციის თანამშრომლებს ან პოლიციის დაწესებულებას.

2009 წლის 30 აპრილს აზერბაიჯანის სახელმწიფო ნავთობის აკადემიაში მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. დილის საათებში შეიარაღებული პირი აკადემიის პირველი სართულიდან მაღლა სართულებამდე ავიდა და ესროლა ყველა სტუდენტს და მასწავლებელს ვინც დერეფნებში შეხვდა.

გასული საუკუნის 90-იან წლებში ბაქოს მეტროპოლიტენში რამდენიმე ტერაქტი მოხდა.

ჩვენ ყველა ყოველთვის მზად უნდა ვიყოთ და უნდა ვიცოდეთ, თუ როგორ უნდა მოვიქცეთ საფრთხის დროს

კითხვები და დავალებები:

1. რა არის სახლში მომხდარი ავარიების მიზეზები?
2. რომელი წესები უნდა დავიცვათ რათა თავიდან ავიცილოთ საყოფაცხოვრებო ავარიები?
3. რომელი ავარიები ხდება საჯარო ადგილებში?
4. რომელი წესები უნდა დავიცვათ რათა თავიდან ავიცილოთ საჯარო ადგილებში მომხდარი ავარიები?
5. რომელია სახლში უსაფრთხო ქცევის წესები?
 - ა) ღამით ქუჩაში არ გავდივართ მარტო;
 - ბ) მაღლიდან არ ვიღებთ ნივთებს;
 - გ) შორს ვიყოთ ისეთი ქუჩებისაგან, სადაც ხალხი და კარგი განათება არ არის;
 - დ) სადენში არ ვრთავთ რამდენიმე აპარატს ერთდროულად;
 - ე) შორს ვართ ხალხმრავალი ადგილებისგან;
 - ვ) ფრთხილად ვართ საბურღ-მჭრელ იარაღებთან მუშაობისას.
6. კინოთეატრში, მეტროში, გასართობ ცენტრებში რომელი სახიფათო მოვლენა შეიძლება შეგვხვდეს და ამ დროს რა უნდა გავაკეთოთ?
7. ქვემოთ სურათებზე ასახული საგანგებო მოვლენებისაგან როგორ დავიცვათ თავი? პასუხი დაასაბუთეთ.



21. თავი დაეცვათ ბუნებაში არსებულ სახიფათო მოვლენებისგან

1139 წელს განჯაში მომხდარი მიწისძვრის შედეგად ქუბეზის მთის ერთი ნაწილი ჩამოიშალა, ჩახერგა მდინარე აღსუ და წარმოიქმნა გოიგოლი. XX საუკუნის დასაწყისში ერთ-ერთი ყველაზე დიდი მეწყერი 1920 წელს ჩინეთის პროვინციაში განსუ-ში ჩამოწვა. ამ დროს 100 000 ადამიანი დაიღუპა.

უდიდესი ზომის მეწყერი კი ჩვენი წელთაღრიცხვის დასაწყისში ირანში, საიდმარეხის მდინარესთან ჩამოწვა.

1911, 1931 და 1954 წლებში იანციზის მდინარეში წყალდიდობის შედეგად 60 მილიონი ადამიანი დაზარალდა. 1911 წელს კი, 100 000 ადამიანი დაიღუპა.

რას გახსენებს ეს წინადადებები?

თქვენ უკვე იცით სტიქიური მოვლენების შესახებ. მიწისძვრა, წყალდიდობა, წყლის ნაკადი, ცუნამი, ხანძარი, ქარიშხალი, ძლიერი ყინვა, ძლიერი სიცხე, მეწყერი, ვულკანი, რადიოაქტიური ნივთიერებების გავრცელება, ეპიდემიები და სხვ. ადამიანის სიცოცხლისთვის უდიდეს საფრთხეს ქმნის. საგანგებო მოვლენები ორ ჯგუფად იყოფა: ბუნებრივი და ტექნოგენური.



ბუნებრივი მოვლენები:
მიწისძვრა,
წყალდიდობა,
წყლის ნაკადი,
ცუნამი,
ქარიშხალი,
ძლიერი ყინვა,
ძლიერი სიციხე,
მეწყერი,
გულკანი,
ეპიდემიები.


ტექნოგენური მოვლენები:
რადიოაქტიური დაბინძურება,
ავარიები კომუნალურ სისტემებში
ნახშირბადის მონოქსიდით მოწამლევა,
ხანძარი,
აფეთქება,
სავაზო ავარიები.

მიწისძვრის შედეგები:
დანგრევა
მეწყერი
დანაკარგები

ასეთი საგანგებო სიტუაციების დროს უნდა ვიცოდეთ ქვეყნის წესები.

ჩვენი რესპუბლიკის ტერიტორია აქტიურ სეისმიკურ ზონაშია, ამიტომაც ყოველთვის არის მიწისძვრის საფრთხე. ძირითადი სეისმიკური ზონები: დიდი კავკასიონი, წინა კავკასიონის კალთები, მტკვარის მიმდებარე მთა, პატარა კავკასიონი და თალიში, შუა არაზის ტექტონიური ზონები


მიწისძვრის პროგნოზირება





რა უნდა ვაკეთოთ ადამიანებმა, მიწისძვრის შემთხვევაში, რა უნდა იცოდნენ მათ?

ისტორიის განმავლობაში მომხდარი მიწისძვრების ანალიზით მტკიცდება, რომ მიწისძვრის დროს ადამიანის დაცვის ყველაზე ეფექტური საშუალება და პირობაა არ დაიბნეს ადამიანი. პირველი ბიძგებისთანავე შეგიძლიათ წყნარად, ყვირილისა და პანიკის გარეშე დახმარება გაუწიოთ თქვენ თავს და ახლობლებს. ახლა კი, ვნახოთ როგორ შეიძლება ამის გაკეთება:



როდესაც იგრძნობთ, მიწისქვეშა ბიძგებს, მაშინვე გააღეთ ოთახის ან სახლის კარი. მიწისძვრის დროს კედლების დეფორმირების შედეგად იკეტება კარები და შემდეგ შეუძლებელია მისი გაღება და ვერ გახვალთ ოთახიდან;

თუ ოთახში იმყოფებით, დაუყონებლივ მიდით უსაფრთხო ადგილთან გადადით. შეძვერით მაგიდის ან საწოლის ქვეშ, ძირითადი კედლის კუთხეში დადექით;

მიწისძვრის დროს არასოდეს არ იყოთ ოთახის შუაში ან გარე კედელთან ახლოს, ვინაიდან ჯერ გარე კედელი ინგრევა;

შორს იყავით ფანჯრებისაგან და დიდ საგნებისგან - მაცივარი, ავეჯი და სხვა;

სირბილით ნუ გახვალთ შენობიდან, ზემოდან ცვივა ნაწილები, რომელიც საკმაოდ სახიფათოა;

თუ მრავალსართულიან შენობაში ხართ, უმჯობესია იქ დარჩით, ნუ იჩქარებთ კიბეებზე გასვლას ან ლიფტში შესვლას. გახსოვდეთ, რომ მიწისძვრის დროს პირველად კარები, კიბეები და ლიფტი ინგრევა.

საგანგებო სიტუაციების სამინისტრო ექსტრემალური სიტუაციებისთვის მომზადების მიზნით ყოველთვის ახორციელებს საგანმანათლებლო საქმეებს, ყოველთვის ამ სფეროს აქცევს ყურადღებას. სამინისტრომ გამოსცა წიგნები მოსწავლეებისთვის „უნდა შეგეძლოს დახმარების გაწევა შენი თავისა და სხვებისთვის“.



წყალმოვარდნისა და წყალდიდობის დროს უნდა ვიცოდეთ:

წყალმოვარდნა - მთის მდინარის კალაპოტში ბევრი წვიმის შედეგად, ყინულისა და თოვლის დნობის შედეგად წყლის მოულოდნელად მოსული ტალახიანი, ქვიანი ნაკადია. წყალმოვარდნა შეიძლება მოდიოდეს წყალსაკრები რეზერვუარების დანგრევის, მიწისძვრის ან ვულკანის შემდეგ. წყალმოვარდნის შედეგად შეიძლება დაზარალდნენ ადამიანები, საცხოვრებელი ადგილები და სხვა.

წყალდიდობა - მთის მდინარის კალაპოტის მთლიანად წყლით შევსების შედეგად წყალი დიდდება და ხიანს აყენებს ტერიტორიებს.

წყალმოვარდნის დროს 50-100 მეტრის სიმაღლეზე ადით. ამ დროს შეიძლება მოვარდეს ღიდი ქვა, სახიფათო მასალა და ასე. შ;

თუ ღია სივრცეში ხართ, დაუყონებლივ ადით მაღლა. თუ წყლის კალაპოტზე ან სხვა დაბალ ადგილზე ხართ დაუყონებლივ დატოვეთ აღნიშნული ადგილი;

არ უნდა ატაროთ ავტომობილი ისეთ ადგილებში სადაც ბევრია წარდენის შედეგად დაგროვილი წყალი, თუ მოხდა რამე ავარიული შემთხვევა, დატოვეთ ავტომობილი;

შორს იყავით ელექტროენერჯის კაბელებისგან; მოძრავ წყლებში გადაადგილების მიზნით გამოყენეთ ხე;

თან წაიღეთ გარკვეული რაოდენობის წყალი, წამალი და საკვები თქვენი ოჯახისთვის;

არ უნდა ჭამოთ წვიმის წყლებით დაბინძურებული საჭმელები;

წყლების დაღვევა მხოლოდ ლაბორატორიული შემოწმების შემდეგ შესაძლებელია;

თუ შენობაში გრძნობთ გაზის სუნს, ამ შემთხვევაში არ უნდა ანთოთ შუქი.

წყალდიდობის დროს ადით მაღალ სართულებზე, ხეზე, სახლის სახურავზე. არ უნდა ახვიდეთ პატარა ხეზე ან სვეტებზე. სასწრაფოდ უნდა დატოვოთ დატბორილი ტერიტორია. თუ ვერ დატოვებთ ადგილი, შესაძლებელი ყველა საშუალებით (სიგნალის) გამოყენებით დაუძახოთ დახმარე ძალებს და დაელოდოთ სახლის სახურავზე. თუ წყალში ჩავარდით, გაიხადეთ მძიმე ტანსაცმელები, ფეხსაცმელები. ეცადეთ მიცურდეთ მოტივტივე საგნებამდე და დაელოდეთ დახმარებას



მეწყერი - მიწის მასების ან ქანების ფენის მოწყვეტა და გადაადგილება მთის კალთაზე ან ფერდობზე, სიმძიმის ძალის გავლენით. მეწყერი დამოკიდებულია ქანების ფენებზე, ტერიტორიის მიდრეკილებაზე და ტენიანობის დონეზე. მეწყერი არის ბუნებრივი მოვლენა, რომელიც სეისმური ადგილებსა და მთიან რეგიონებში ხდება ხშირად. მეწყერმა შეიძლება საცხოვრებელი ადგილების, საცხოვრებელი და საწარმო შენობების დანგრევა, მიწსადენების, ელექტროენერჯის მიწების დაზიანება, ადამიანების დაზარალება და დაღუპვა გამოიწვიოს. მეწყერის პირველი ნიშნები ბზარების გამოჩენა, შენობების კარებისა და ფანჯრების გამოჭედვაა. რა უნდა გავაკეთოთ ამ დროს?

- ასეთი საფრთხის არსებობის შესახებ ინფორმაციის მიღების-თანავე გამორთეთ ელექტროენერჯით, გაზით მომუშავე მოწყობილობები და წყალი;
- თუ მეწყერის სიჩქარე დაბალია მაშინ, წინასწარ მომზადებულ ადგილზე გადადით. გახსოვდეთ თან უნდა აიღოთ ლოკუმენტები, ძვირფასი ნივთები, ტანსაცმელი და საკვები;
- თუ არ გაქვთ, საკმარისი დრო იმისათვის, რომ დატოვოთ ტერიტორია დარჩით შიგნით. ახლოს იყავით მაგარ ნივთებთან;
- არ დადგეთ იმ გზაზე, რომელზეც მოდის მეწყერი;
- ადამიანებს მიაწოდეთ ინფორმაცია მეწყერის შესახებ;
- მოისმინეთ რადიოთი და სხვა საინფორმაციო საშუალებებით გაცემული ინფორმაცია და გაფრთხილება;
- საგნების აღებისთვის არ უნდა შეხვიდეთ დაზიანებულ შენობებში

ჭექა ქუხილი და ელვა - საკმაოდ სახიფათოა. ეს უპირველეს ყოვლისა მაღალი შენობებისთვის და ხეებისთვისაა სახიფათო. ყოველ წელს მსოფლიოში ელვის დარტყმის შედეგად დაახლოებით 3000 ადამიანი იღუპება.

თუ აალების შემდეგ ხმაური ან ქუხილია, ელვა მაშინ არის ძალიან სახიფათო. ამ დროს უნდა ჩაკეცოთ კარი და ფანჯრები. გამორთეთ რადიო, ტელევიზორი და სხვა ელექტროენერგიით მომუშავე მოწყობილობები.

არ ილაპარაკოთ ტელეფონზე, ელვა ხშირად ელექტროტალღებს მიჰყვება.

თუ ტყეში ხართ, იყავით დაბალი ხეების ქვეშ. არ იყოთ მაღალი ხის, კერძოდ ნაძვის ხის, მუხის ქვეშ. არ გაჩერდეთ წყლის აუზთან, ნაპირთან ახლოს. არ გაჩერდეთ შემადღებულ ადგილზე;

თუ ხართ ველზე, ან ისეთ ადგილას სადაც არ არის დასამაღი ადგილი უნდა გაჩერდეთ ერთ ადგილზე. წინააღმდეგ შემთხვევაში თქვენი სხეული მთლიანად ელექტროშოკის დარტყმის საფრთხის ქვეშ დარჩება. მოიკუნტეთ და ხელები დაიდეთ ფეხებზე.

ქარიშხლის დროს უნდა შეწყვიტოთ სპორტული აქტიურობის გამოყენება. შორს დატოვეთ ლითონის მოწყობილობები. მათგან 20-30 მეტრის დაშორებით დადქით.

თუ ქუხილს მანქანაში შეხვდით, მაშინ იყავით მანქანაში და არ ჩამოხვიდეთ. ასწიეთ ფანჯარა.





ქარბუქი - ძლიერი ქარის მიერ თოვლის გადატანა ნიადაგის ზედაპირიდან ან თოვლცვენიდან. თუ თქვენ ინფორმაცია მიიღეთ მოსალოდნელი ქარბუქის შესახებ:

- დახურეთ კარი, ფანჯრები, ფანჯრები დაფარეთ ქაღალდის ლენტით. მოიმარაგეთ წყალი, სანთელი, საჭმელი, წამალი, ფანარი, ბატარეით მომუშავე რადიო მიმღები და სხვა;

- თუ მოხვდით ქარბუქში ან ზვავში, ეცადეთ კლდეების, ან დიდი ხეების ქვეშ დარჩეთ, სახე მიწისკენ მიმართეთ (რათა ქვისა და ყინულის ნაჭრებისგან დაიცვათ თავი). პირი დაიფარეთ ტანსაცმლით და ისუნთქეთ;

- ავტომობილით მხოლოდ დიდ გზებსა და გზატკეცილებზე შეიძლება მოძრაობა; არ ჩამოხვიდეთ მანქანიდან, არ დაიძინოთ, ნახშირბადის მონოქსიდის მანქანის სალონში დაგროვებით შეიძლება მოიწამლოთ. ხანდახან გააღეთ ფანჯარა და გაანიავეთ მანქანა.



კითხვები და დავალებები:

1. რატომ აჯგუფებენ საგანგებო სიტუაციებს?
2. ქვემოთ ჩამოთვლილია საგანგებო სიტუაციები და დაადგინეთ, რომლის დროსაა საჭიროა უსაფრთხოების წესების დაცვა. კომუნალურ სისტემებში ავარია, მიწისძვრა, წყალდიდობა, ცუნამი, რადიოაქტიური დაბინძურება, ნახშირბადის მონოქსიდით მოწამლევა, აფეთქება, საგზაო შემთხვევები, ძლიერი ყინვა, ხანძარი.
3. ცხრილის მიხედვით აღწერეთ საგანგებო სიტუაციები, მათი შედეგები (საფრთხეები) და ამ დროს მოქცევის წესები:

საგანგებო სიტუაციები	საფრთხეები	ქცევის წესები
<i>ქარბუქი</i>		
<i>ელვა</i>		
<i>მიწისძვრა</i>		
<i>წყალდიდობა</i>		

4. მოცემული ქცევის წესები რომელი საგანგებო სიტუაციის დროს უნდა დაიცვათ. შეაფასეთ ცხრილი.

ქცევის წესები	საგანგებო სიტუაციები
<i>არ უნდა დადგეთ იმ გზაზე, სადაც ტალახის ნაკადი მოდის</i>	
<i>დაუყოვნებლივ ადით მაღალ ადგილას</i>	
<i>ეცადეთ კლდეების, ან დიდი ხეების ქვეშ იყოთ, სახე მიწისკენ გქონდეს.</i>	

22. თავი დავიცვათ ტექნოგენური წარმოშობის ავარიებისგან

ჩვენ უკვე ვიცით, რომ რადიოაქტიური დაბინძურება, კომუნალურ სისტემებში ავარიები, აფეთქება, ხანძარი, ნახშირბადის მონოქსიდით მოწამვლა, საგზაო შემთხვევები - ტექნოგენური წარმოშობის ავარიებია. ისიც ვიცით, რომ ბუნებრივი საგანგებო სიტუაციების დროს უნდა დავრეკოთ 112-ის სამსახურში. უკვე ვისწავლეთ, რომელი წესები უნდა დავიცვათ საგანგებო სიტუაციების დროს. მაგრამ, იცით რა უნდა გავაკეთოთ, როგორ მოვიქცეთ ტექნოგენური წარმოშობის ავარიების დროს?



გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება არის ყველაზე საშინელი დაბინძურება



სწორად ამბობენ, რომ ეს მოვლენა „ლამპარში გამომწყვდეულ ჯინს“* ჰგავს. რადგან ატომის ენერგია გამოიყენება სამშვიდობო მიზნებისთვის. მაგრამ ატომის ენერგიით მომუშავე დაწესებულებებში უსაფრთხოების წესების დარღვევის გამო წარმოიქმნებიან რადიოაქტიური სხივები და რადიოაქტიური დაბინძურება. როდესაც ჰაერში რადიაციაა, რადიოაქტიური ნივთიერებები ორგანიზმში სწრაფად გროვდება. ამ დროს ირღვევა ორგანიზმის ფუნქცია, ეს კი შეიძლება სიკვდილით და გენეტიკურ დაავადებით დასრულდეს.

*იგულისხმება ზღაპრებში აღწერილი ჯინი.

რა უნდა გავაკეთოთ რადიოაქტიული დაბინძურების დროს?


თუ თქვენ ქუჩაში ხართ, სასწრაფოდ დაიფარეთ ცხვირი, პირი ხელით, კაშნით ან სველი ხელსახოცით;

სასწრაფოდ სახლში წამოდით, გაიხადეთ და შხაპი მიიღეთ. მაქსიმალურად მყარად ჩაკეტეთ ყველა კარი და ფანჯარა;

ერთ ჭიქა წყალში დააწვეთეთ 3-5 წვეთი იოდი (ბავშვებისთვის 1-2 წვეთი) და დალიეთ;

არ გახვიდეთ ქუჩაში. თუ ეს აუცილებელია, გამოიყენეთ რესპირატორი და შესაბამისი ტანსაცმელი (გრძელი საწვიმარი ან ლაბადა, სქელი ფეხსაცმელი და ა.შ.);

საჭმლისთვის წყალი მხოლოდ დაცული მიღებიდან და რეზერვუარებიდან აიღეთ; თუ სურსათი კარადებში, მაცივრებში, პოლიეთილენის ყუთებში დახურულ მდგომარეობაშია, მაშინ ითვლება ვარგისად.



ატომურ ელექტროსადგურებში მომხდარი პატარა ავარიებიც კი სპეციალისტებს ძალიან აწუხებს. ასეთი ავარიების დროს ხშირად ჩნდება ხანძარიც. ეს კი თავის მხრივ, აბინძურებს ხეივანს და ბოსტნეულს.



სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, მე-20 საუკუნის ბოლო 20 წლის განმავლობაში მსოფლიოში ზოგადად 800 მილიონზე მეტი ადამიანი სხვადასხვა კატასტროფის შედეგად დაზარალდა. 140 ათასი ადამიანი დაიღუპა. ყოველწლიური მატერიალური ზარალი კი, 100 მილიარდ დოლარზე მეტს შეადგენდა.



ხანძარი- დიდ მაღაზიებში, კინო-თეატრებსა და სხვა საჯარო ადგილებში ხანძარი სახელში მომხდარ ხანძრისგან ძალიან განსვავებულია. უპირველეს ყოვლისა აქ ძალიან ბევრი ადამიანის დაზარალება მოსალოდნელი. ამიტომაც ძალიან მნიშვნელოვანია ქვემოთ მოცემული წესების დაცვა:

არ შეიძლება ავეყუთ პანიკას; სწრაფად დატოვეთ ოთახი; დაიფარეთ ცხვირი და პირი სველი ნაჭრით; ადამიანს, რომლის ტანსაცმელი იწვის, დაეხმარეთ გახდაში, ან დააფარეთ სქელი ნაჭერი; თუ საჯარო ადგილებში არის ცეცხლის ჩასაქრობი საშუალებები, გამოიყენეთ.

კითხვები და დაგალებები:

1. შეადარეთ რადიოაქტიური დაბინძურების დროს და ეპიდემიების დროს მოქცევის წესები.
2. სკოლაში მოამზადეთ სკეტჩი თემაზე „სკოლაში ხანძარი და მეხანძრეები“.
3. რატომ არ შეიძლება რადიოაქტიური დაბინძურების დროს დაბინძურებული საკვების ჭამა?
4. რომელი წესები უნდა დავიცვათ საგზაო შემთხვევების დროს? დაადგინეთ.
5. რა არის თქვენს ოთახში ხანძრის საფრთხის წყარო და რას გააკეთებდით ხანძრის დროს?
6. ქვემოთ მოცემულებიდან რომელია ყველაზე საშიში?

სანთებელა მაგიდაზე;

საფერფლე სავსეა;

უთოს მაგიდა არ არის დაღაგებული;

ელექტროენერჯის შნური ხალიჩის ქვეშ გადის;

ტანსაცმელს აშრობენ გაზის გამათბობელზე;

ნაძვის ხეზე ანთია ნათურები;

უთო ჩართულია;

ელექტროენერჯის მილი წყლის ონკანთან ახლოსაა.

7. რატომ არის სქელი ფეხსავემლის ჩაცმა რეკომენდირებული რადიოაქტიური დაბინძურების დროს? განმარტეთ.
8. რა უნდა გააკეთდეს, თუ მრავალსართულიანი შენობის ბოლო სართულზე ხანძარი გაჩნდა? წესები დაწერეთ რვეულში.

23. ყურადღება მივაქციოთ საგზაო ნიშნებს


რას წარმოადგენენ ჩამოთვლილი ნიშნები? როგორ დააჯგუფებდით მათ?



ძველად ძირითადი სატრანსპორტო და გამწვევი საშუალება იყო ცხენი და ხარი. მაგრამ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის განვითარებით შეიქმნა ავტომობილი. გზებზე გაიზარდა მოძრაობის სიჩქარე. მოძრაობის სიჩქარის გაზრდასთან ერთად მძღოლებისთვის გზების შესახებ ინფორმაციის მომცემი ნიშნების შექმნის აუცილებლობაც გაჩნდა. ასე, რომ მსოფლიოში პირველი საგზაო ნიშნები მე-19 საუკუნის ბოლოს პირველ ავტომობილებთან ერთად შეიქმნა.

ადრე ყველა ქვეყანას ჰქონდა თავისი საგზაო ნიშანი. საერთაშორისო საავტომობილო გზების გასხნის შემდეგ საჭირო გახდა ყველა მძღოლისთვის გასაგები, ერთნაირი ნიშნების შექმნა. ასე, რომ 1968 წელს ვენაში მიღებულ იქნა საგზაო წესების შესახებ საერთაშორისო კონვენცია. 1997 წლიდან ჩვენი ქვეყანაც ჩართულია აღნიშნულ კონვენციაში.

ძალიან მნიშვნელოვანია მძღოლების მიერ ნიშნების ცოდნა, რათა დროულად მოახერხონ საჭირო მოქმედებების განხორციელება. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ავარიული სიტუაციები. ამის შედეგად კი, ყველაზე დაზარალებული თქვენ ხართ - მოსწავლეები.



პირველი ბორბლიანი სატრანსპორტო საშუალებები

საბზაო ნიშნებს შემდგობნიარად აჯგუფებენ:

- გამაფრთხილებელი ნიშნები
- მიმითითებელი ნიშნები
- საინფორმაციო მაჩვენებლები
- დამატებითი ინფორმაციის ნიშნები
- პრიორიტეტის ნიშნები
- სერვისის ნიშნები
- ამკრძალავი ნიშნები
- სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობის ნიშნები

მაფრთხილებელი ნიშნები: ეს არის გზების და საფრთხის შესახებ გაფრთხილება. ამ ნიშნების ნახვისას მძღოლი ფრთხილად უნდა იყოს. უნდა დაუწიოს სიჩქარე. გაფრთხილების ნიშნების უმრავლესობა სამკუთხედის ფორმისაა - გარედან წითელი ზოლით და შიგნით თეთრი ფონით



ორმხრივი მოძრაობა



ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელი



ველსიპედის ბილიკი



ბავშვები



დაბლაფრენი თვითმფრინავები



საგზაო სამუშაოები



სახიფათო მოსახვევები




სხვა საფრთხეები


პრიორიტეტის ნიშნები - აჩვენებს გზატკეცილებს. ასეთ ნიშნებს არ აქვთ საერთო ფორმა და ფერი.




გადასვლა აკრძალულია



გზა დაუთმეთ



მთავარი გზა



მთავარი გზის დასასრული

ამკრძალავი ნიშნები - წითელი ზოლით დაფარული, მრგვალი ფორმისაა. აღნიშნული ნიშნები გზებზე მძღოლებისა და სატრანსპორტო საშუალებების მოძრაობას არეგულირებს.



გაჩერება
აკრძალულია



დგომა
აკრძალულია



უკან დაბრუნება
აკრძალულია



შესვლა
აკრძალულია

მიმითითებელი ნიშნები - ნებადართული მოძრაობის მიმართულებას, სიჩქარეს, ფეხით მოსიარულეთათვის განკუთვნილ გზებს გვიჩვენებს. მრგვალი ფორმა და თეთრი ფონი აქვთ.



მარჯვნივ
მოძრაობა



პირდაპირი
მოძრაობა



მარცხენივ
მოძრაობა



წრიული
მოძრაობა

საინფორმაციო მაჩვენებლები - ინფორმაციას გვაძლევს საცხოვრებელი სახლების და სხვა ობიექტების შესახებ. ოთხკუთხედის ფორმა აქვს. საცხოვრებელი დასახლებების სახელები, გზის მდგომარეობისა და ობიექტების შესახებ ინფორმაცია ამ ნიშნების საშუალებით იძლევა.

მწვანე ფონი ავტომაგისტრალს, ლურჯი ფონი სხვა საავტომობილო გზებს, თეთრი ფონი კი საცხოვრებელ დასახლებებს აღნიშნავს.



ცალმხრივ
მოძრაობიანი
გზის დასასრული



მიწისქვეშა
გადასასვლელი



ზოლის და-
საწყისი



ზოლებზე მოძრაობის
მიმართულება

სერვისის ნიშნები - გრძელი მოგზაურების დროს ადამიანებს აძლევენ ინფორმაციას ობიექტების მდებარეობის შესახებ. ეს ნიშნები ოთხკუთხედი ფორმისაა, გარედან ლურჯი ზოლი აქვთ.



ავტობუსის
განერების ადგილი



ავტომობილის
რეცხვა



სასმელი წყალი



კვების ობიექტი



პირველადი სამედიცინო
დახმარების პუნქტი



ტელეფონი



სააგადმყოფო



ავტოგასამართი
სადგური

დამატებითი საინფორმაციო ნიშნები - თანმდგომი სხვა ნიშნების დაზუსტებისა და შეზღუდვის მიზნით გამოიყენება. ხელს უწყობს მოძრაობის უფრო კომფორტულად ორგანიზებას.



სატრანსპორტო
საშუალების სახეობა



სატრანსპორტო
საშუალების სადგომზე
დაყენების წესი




მანძილი ობიექტამდე

სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობის ნიშნები - როგორც მათი სახელწოდებიდანაც ჩანს, ეს ნიშნები სატრანსპორტო საშუალებების ამოცნობას ემსახურება.



ბავშვების გადაყვანა



სასწავლო მანქანა



საშიში ტვირთი

ამ ნიშნების ცოდნითა და გარჩევით, შეგვიძლია შევამციროთ ავარიები გზებზე.

კითხვები და პასუხები:

1. რატომაა საჭირო საგზაო ნიშნები?
2. რამდენ ჯგუფად იყოფა საგზაო ნიშნები?
3. რატომაა საჭირო აკრძალვის ნიშნები?
4. რატომაა საჭირო საინფორმაციო საგზაო ნიშნები?
5. ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით დახატეთ ნიშნები.

მაფრთხილებელი ნიშნები	საინფორმაციო საგზაო ნიშნები	სერვისის ნიშნები	ამკრძალავი ნიშნები	პრიორიტეტული ნიშნები

6. მოამზადეთ დადგმა საგზაო მოძრაობის წესების შესახებ.
7. რა ინფორმაციას აძლევს ეს ნიშანი? რა იქნებოდა ამ ნიშნის არარსებობის შემთხვევაში?



8. ამ ნიშნის დანახვისას მძღოლები ამცირებენ სიჩქარეს. განმარტეთ ამის მიზეზი.
9. რომელი ნიშნის დანახვისას იქმნება უდიდესი საფრთხე, მძღოლის მიერ სიჩქარის არ შემცირების შემთხვევაში?



Buraxılış məlumatı

HƏYAT BİLGİSİ 6

*Ümumtəhsil məktəblərinin 6-cı sinfi üçün
Həyat bilgisi fənni üzrə*

DƏRSLİK

(Gürcü dilində)

Tərtibçi heyət:

Müəlliflər:	Məmmədova Nüşabə Əsəd qızı Mahmudova Könül Faiq qızı
Tərcümə edən	Jalagania Roland
Buraxılışa məsul	Sevil İsmayılova
Baş redaktor	Ülkər Məmmədova
Üz qabığının dizaynı	Elşən Qurbanov
Səhifələyici və texniki redaktor	Mixail Çodrişvili
Texniki direktor	Xəqani Fərzaliev
Nəşriyyat direktoru	Eldar Əliyev

*Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyinin qrif nömrəsi:
2017-049*

© **Azərbaycan Respublikası Təhsil Nazirliyi – 2017**

Müəlliflik hüquqları qorunur. Xüsusi icazə olmadan bu nəşri və yaxud onun hər hansı hissəsini yenidən çap etdirmək, surətini çıxarmaq, elektron informasiya vasitələri ilə yaymaq qanuna ziddir.

Hesab-nəşriyyat həcmi. Fiziki çap vərəqi 5,5. Formatı 70x100 ¹/₁₆.
Səhifə sayı 88. Ofset kağızı. Jurnal qarnituru. Ofset çapı.
Tiraj 200. Pulsuz. Bakı – 2017.

“Şərq-Qərb” ASC
AZ1123, Bakı, Aşıq Ələsgər küç., 17.

Pulsuz

Əziz məktəbli!

Bu dərslik sənə Azərbaycan dövləti tərəfindən
bir dərs ilində istifadə üçün verilir.

O, dərs ili müddətində nəzərdə tutulmuş bilikləri
qazanmaq üçün sənə etibarlı dost və yardımçı olacaq.

İnanırıq ki, sən də bu dərsliyə məhəbbətlə yanaşacaq,
onu zədələnmələrdən qoruyacaq, təmiz və səliqəli
saxlayacaqsan ki, növbəti dərs ilində digər məktəbli
yoldaşın ondan sən kimi rahat istifadə edə bilsin.

Sənə təhsildə uğurlar arzulayırıq!

